[illegible]

წლიწნდი შვო...

# კომუნისტი

ს. კ. პ.

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

ფასი 5000 მანეთი

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე ... 10 ს.—2 ს. ... № 19 საერთო №

№ 55 პარასკევი, 10 მარტი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი პარასკევი, 10 მარტი 1922 წ. № 55

## წითელი არმია, დაბადებული სამოქალაქო ომის ცეცხლში, გამოწრთობილი უამრავ ფრონტებზე ბრძოლაში და გამარჯვებაში, არმია, რომელმაც თავისი სისხლით დაიცვა დამოუკიდებლობა და თავისუფლება საბჭოთა რესპუბლიკების, დღესასწაულობს თავისი არსებობის ოთხი წლის თავს.

## სალამი წითელ არმიას, მის მებრძოლ გმირებს!

## საუკუნო ხსენება ბრძოლის ველებზე გმირულად დაღუპულებს!

### პარასკევს, 10 მარტს, საღამოს 6 საათზე,

(ოპერატ. დროით საღამოს 7 საათზე) ყველა რაიონში შესდგება თბილისის ორგანიზაციის საზეიმო პარტიული კრებები წითელ არმიელებთან ერთად უპარტიოების მონაწილეობით

### თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავის და წითელი ლაშქრის ოთხი წლის თავის აღსანიშნავად

კრებები რაიონებში შესდგება შემდეგ პუნქტებში.

1 რაიონი—ნაძალადევის კლუბი—ამხ. **ორჯონიკიძე.**

2 რაიონი—ალმ. ბრიგადის კლუბი—ამხ. **ორახელაშვილი** და **ერმოლოვი.**

3 რაიონი—საგანგებო დანიშნულების რაზმის კლუბი—ამხ. **შაპოშნიკოვი** და **ლოლობერიძე.**

თბ. კომიტეტის მდივანი **ლოლობერიძე.**

დღეს, თებერვლის რევოლიუციის მე-5 წლის და წითელი არმიის არსებობის მე-4 წლის თავზე, წარმოდგენების წინ გამოვლენ მომხსენებლები:

**საღამოს 9 საათზე**

სახელმწიფო ოპერაში—ამხ. ს. ქავთარაძე.
რუსთველის თეატრში—ამხ. თ. კალანდაძე.
რევოლ. მხატვრულში—ამხ. ვირაპი.
ნაძალადევის თეატრში—ამხ. ელიავა.
მუშათა ცენტრ. კლუბში—ამხ. ივანოვი.
სახალხო სახლში—ამხ. კახიანი.
პროფკავშირის კლუბში—ამხ. მამია ორახელაშვილი.

თბ. კომ. მდივანი კახიანი.

დღეს, საღამოს 5 საათზე (ოპერატიული დროით საღამოს 6 საათზე) სახელმწიფო ოპერაში შესდგება

### მე-4 რაიონის პარტიის წევრების საზეიმო კრება წითელ არმიელებთან ერთად უპარტიო მუშების ფართო მასების მონაწილეობით

**დღის წეს-რიგი:**

1. თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავი—მომხსენებელი ამხ. ქავთარაძე.
2. წითელი არმიის არსებობის 4 წლის თავი—მომხსენებელი ამხ. სუტირინი.

თბილისის კომიტ. მდივანი: ლოლობერიძე.
კავკასიის ცალკე არმიის პოლიტსამდივნოს უფროსი ფელდმანი.

**ამა წლის 12 მარტს, დღის 11 საათზე სახელმწიფო ოპერის შენობაში შესდგება**

### გაერთიანებული საზეიმო კრება პლენუმების: თბილისის მუშებისა და წითელ არმიელების საბჭოსი, პროფკავშირების საბჭოსი, საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების და გარნიზონის ჯარის ნაწილების წარმომადგენლებისა წარმომადგენლობითი ნორმით 1 პაჲი, 25 წითელ არმიელისაგან

**დღის წეს-რიგი:**

1. წითელი არმიის 4 წლის თავი.
2. თებერვლის რევოლიუციის 5 წლის თავი.
3. გარნიზონის ნაწილებზე შეფობის დაკანონება.

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი.

## წითელი არმიის ოთხი წლის თავზე

როდესაც 1918 წლის 23 თებერვალს რუსეთის სახალხო კომისართა საბჭომ პირველათ გამოსცა დეკრეტი ახალი არმიის შედგენის, მისი მამოძრავებელი ძალების და მიზნების შესახებ, რევოლიუციონურ სამხედრო ძალას მუშურ-გლეხური რესპუბლიკისას უკვე თავისი, თუმცა ჯერ კიდევ მოკლე, მაგრამ ბრწყინვალე წარსული ჰქონდა, სავსე გმირული ეპიზოდებით სისხლიან ბრძოლის ველებზე. მომავალი ძლიერი წითელი არმიის ჩანასახმა, მან გაიარა პირველი ბრძოლების ცეცხლში და კომლში, აგებულმა მოხალისეობის პრინციპზე და როგორც ასეთმა განვლო მან პირველი „ისტორიის წინა პერიოდი“ თავისი არსებობის.

მძიმე იყო და რთული პირობები მისი ბრძოლის და იმავე დროს ზრდის.

გარშემორტყმულს მოსისხლე მტრებით შიგნით და გარედან, თავისი სისხლით უნდა აღიბეჭდა მას მშრომელთა რესპუბლიკის არსებობის პირველი ელემენტარული უფლებები და აეწყო თავის ჯერ კიდევ არა საკმაოთ მტკიცე რიგები, გაემრავლებია ისინი, გაეუმჯობესებია ხარისხით, ბრძოლის უნარით, რომ დამდგარიყო მომავალ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოთხოვნილებათა სიმაღლეზე და მით უზრუნველეყო მშრომელთა ძალა-უფლება, მშრომელთა რევოლიუციის ძლევამოსილი მიმდინარეობა. და მიუხედავათ განუზომელ დაბრკოლებათა, რომლებით სავსე იყო მისი გზა, მიუხედავათ ქვეყნის საარსებო პირობების დაშლისა და არევდარევისა, რომელიც მიიღო სამკვიდროთ ახალმა სახელმწიფომ გამანადგურებელი მსოფლიო ომის შემდეგ, მან შესძლო თავზე მოეხვია მტერთა ურიცხვ ურდოებისთვის თავისი ნება-სურვილი არსებობის და განვითარების. გამომწვარი და გაზრდილი შეუწყვეტელი ომების პირობებში, თან და თან ახალი ძალების მომკრები, თავისი მშობელი მშრომელთა მასების უთვალავი რევოლიუციონური რეზერვებიდან, კომუნისტური პარტიის შეუდრეკელი ხელმძღვანელობის ქვეშ, ის იქცა ერთ უდიდეს არმიათ, რომელიც კი უნახავს სამხედრო ისტორიას. თუ დღეს თვალუწვდენელ მშრომელთა სახელმწიფოს საზღვრებზე გარშემორტყმული ქოფაკები საერთაშორისო კაპიტალის შემდგარი არიან და, დაეჭვებული თავის საკუთარ ძალებში, ნაბიჯს ვერ სდგამენ ჯერ წინ, თუ უკანასკნელ ხანებში ბურჟუაზიული ქვეყნების მესვეურები არა მარტო საიდუმლოებით მოცულ თავის კაბინეტებში, არამედ საჯაროთ და ყველას გასაგონათ ხმამაღლა ფიქრობენ თანამედროვე რუსეთთან ერთნაირ სამშვიდობო ურთიერთობის აღდგენაზე და „თანამშრომლობაზე“—ყოველივე ამის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ რუსეთის გმირული წითელი არმიის ოთხი წლის არსებობის ისტორიის მიხედვით.

ძლევამოსილება წითელი არმიის, სიმტკიცე მისი დისციპლინის, შინაარსი მისი ბრძოლის სტრატეგიის, დამაფიქრებელი შეიქნა არა მარტო პოლიტიკოსებისათვის, რომლებიც სწყვეტენ დღეს ბედ-იღბალს მსოფლიოსას, არამედ ყოველივე ეს ხდება ბურჟუაზიული სამხედრო სპეციალისტების შესწავლის საგნათ, მათი მეცნიერული კვლევაძიების ობიექტათ, როგორც საერთო პოლიტიკურ პრესაში, ისე სპეციალურ გამოცემებში და ისევე განსაკუთრებულ ფოლიანტებში, რომლებიც ავსებენ დღეს ევროპის წიგნის ბაზარს.

მოკრძალება და შიში, რომლითაც მოცულია დღეს მონათმფლობელი ქვეყანა, წითელი არმიის შემხედვარე, არ ამოიწურება ამ არმიის მნიშვნელობით მარტო რუსეთისათვის. კაპიტალისტური სამყარო, რომელიც თვით მისი იდეოლოგების აღიარებითაც თავის ძირიან-ბუდიანათ აფორიაქების მოლოდინშია და ყოველ ჯოჯოხეთურ ღონეს და უნარს ხმარობს მისთვის საბედისწერო ამბების თავიდან ასაცილებლათ, აშკარათ ხედავს როგორია მსოფლიო რევოლიუციონურ ძალთა ის რეზერვი, რომელიც მოთავსებულია დღეს უზარმაზარ სახელმწიფოს საზღვრებში. ამით აიხსნება ის მოუსვენრობა, რომელიც ემჩნევა კაპიტალის მეფეებს და აფიქრებიებს მათ წითელ არმიაზე და საერთოთ რევოლიუციონურ რუსეთზე. ყველასათვის აშკარაა, რომ კაპიტალისტური რეაქციის ჯურღმულებში დღეს შეუწყვეტელი თათბირია, გეგმები გეგმებზე ითხზება, აზრი აზრს სცვლის; თვით მთავრობათა კრიზისების საბოლოო მიზეზებს ინტიმური კავშირი უკანასკნელი ანგარიშით ისევ რევოლიუციონური რუსეთის და მისი შეიარაღებული ძალების არსებობაში აქვთ. აქედგან ცხადია თვით ამოცანაც ამ არმიის, საბჭოთა რუსეთის. და ბოლოს ყველა საბჭოთა ქვეყნების: კვლავ გაზრდა-გამტკიცება სამხედრო ძლიერების, კვლავ მზადება ყოველგვარ შესაძლებლობათა შესახვედრათ და დასაძლევათ.

მეხუთე წელი წითელი არმიის—ამბობს მისი ბელადი ამხ. ტროცკი—იქნება წელიწადი სწავლებისა.

ჩვენი მოვალეობაა, მოვალეობა ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკების, კერძოთ საქართველოსი, რომელიც ფაქტიურათ მხოლოთ რუსეთის წითელი არმიის მეხუთე წელში იწყებს თავისი სამხედრო ძალისათვის სერიოზული მუშაობის პირველ წელს, მოვალეობაა ჩვენი, ვაწარმოოთ მჭიდრო შეთანხმებული თანამშრომლობა ამ უმნიშვნელოვანეს დარგშიაც მასთან, რათა საერთო გასაჭირს საერთო ძალებით შეხვდეთ, რათა საჭირო მომენტში ამიერ-კავკასიაშიც ითქვას გადამწყვეტი სიტყვა ჩვენ წინ მდებარე დიდ ისტორიულ ბრძოლაში.

გაუმარჯოს რუსეთის წითელ არმიას! გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკების შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს მსოფლიო წითელ არმიას!

**ნ. კრედო**

## მეხუთე წელი—წელი სწავლებისა

წითელი არმია მხოლოთ 4 თვითაა უმცროსი საბჭოთა რესპუბლიკაზე. მაგრამ ეს ასეა მხოლოთ დოკუმენტებით. ნამდვილათ-კი ისინი ერთ დღეს არიან დაბადებულნი. შეიძლება ითქვას კიდეც, რომ ჩვენი პარტიის სამხედრო ორგანიზაციის სახით, წითელი არმია ჩაისახა ჯერ კიდევ იმ წუთზე ადრე, როდესაც მუშათა კლასმა ხელში ჩაიგდო ძალა-უფლება.

პირველი წელიწადი მისი არსებობისა წარმოადგენდა ხანას განცალკევებული და მოუწესრიგებელ ცდისას და ღონისძიებას, შეექმნათ რევოლიუციის შეიარაღებული ძალა ისეთ უმძიმეს პირობებში, როდესაც ძველი ჯარი იშლებოდა და ირღვეოდა და მშრომელ მასებს ეზიზღებოდათ ომი.

მეორე და მესამე წლები წარმოადგენენ უკვე გამწვავებულ ბრძოლების ხანას რუსეთის ყველა განაპირა კუთხეებში. არმია შენდებოდა ომის ცეცხლში. სხვა და სხვა მეთოდებს და ხერხებს სცდიდნენ და მათგან ზოგს უარყოფდნენ, ზოგს ამტკიცებდნენ სამუდამოდ. არმია რიცხვით გაიზარდა და უზომოთაც კი გაიზარდა. ეს აიხსნებოდა როგორც მეტად გრძელი ფრონტებით, ისე ჩვენი სამხედრო ორგანიზაციის ჯერ კიდევ არა სრული მოწყობით. ახალი სამხედრო ამოცანები და მოთხოვნილებანი ჰბადებდნენ ახალ ორგანოებს იმ გუშინდელების გვერდით, რომლებმაც უკვე გამოიჩინეს თავიანთი უვარგისობა, მაგრამ ჯერ კიდევ გაუქმებულნი არ იყვნენ. არა საკმარისი მომზადება იწვევდა ადამიანის ძალთა გაძლიერებულ ხარჯვას. სადაც არა კმაროდა ღირსება, იქ საჭირო იყო მისი ანაზღაურება რაოდენობით.

მეოთხე წელი იყო წელი შედარებით სიწყნარისა საზღვრებზე და გაძლიერებულ მუშაობისა არმიის შემცირებისა და რეორგანიზაციის სფეროში. ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ რაც შეიძლება მეტი ჯარის კაცი დაეთხოვათ და დაეტოვებინათ მხოლოთ იმდენი, რამდენიც აუცილებლად საჭირო იყო და ამავე დროს არმიის ორგანიზაციისთვის მოეჭრათ, მოესპოთ ყველა ზედმეტი ორგანოები, ყველა ხორცმეტები, პარალელური დაწესებულებანი და მოეკუმშოთ ძალზე გასიებული ჯარის ზურგები.

**ეს ამოცანა ამ ჟამად შავად უკვე გადაწყვეტილია.** ამითვე შექმნილია პირობები არმიის კვალიფიკაციის გასაძლიერებლათ.

მეხუთე წელი წითელ არმიის არსებობისა იქნება წელი გაძლიერებულ სწავლისა. წითელ არმიის მომავალი რეორგანიზაცია და მისი ნაწილობრივი შემოკლება შესაძლებელია მხოლოთ მის შემადგენელ ელემენტების გაუმჯობესობის საფუძველზე და ამ პროცესთან სასტიკ შეფარდებით.

უნდა აღვამაღლოთ ძირითადი უჯრედი არმიისა: ქვეითა მებრძოლი. იგი უნდა იყოს მაძღარი, თბილად და სუფთა საცვლები ეცვას. კბენრიანი ჯარის კაცი ნახევარ ჯარის კაცილაა.

ჯარისკაცმა უნდა უთუოდ იცოდეს წერა-კითხვა. ეს ამოცანა ჩვენ მტკიცედ უნდა გადავწყვიტოთ, 1 მაისამდე ჩვენ არც ერთი წერა-კითხვის უცოდინარი ჯარისკაცი არ უნდა გვყავდეს. ეს ამოცანა ჩვენ აუცილებლად უნდა შევასრულოთ. არა მარტო საჩვენებლად, ე. ი. ისე კი არა, რომ საჩქაროთ ნასწავლი ჯარისკაცი ორი თვის შემდეგ ისევ თავის პირველყოფილ მდგომარეობას უბრუნდებოდეს. არა, ჩვენ მოვალენი ვართ ვასწავლოთ და ვასწავლით კიდეც ყველა წითელ არმიელებს ისე როგორც წესი და რიგია.

ამ წლის პირველ მაისს საბჭოთა რესპუბლიკა წითელ ფიცს მიაღებინებს თავის არმიას. ყოველმა წითელარმიელმა უნდა მკაფიოდ, გარკვევით და შეგნებით წაიკითხოს „მოწიწებით აღთქმის“ შინაარსი.

უნდა ავამაღლოთ პოლიტიკური და საერთოდ სულიერი განვითარების დონე ყოველი მებრძოლისა. საჭიროა, რომ იგი იცნობდეს ჩვენს მეზობლებს და მოსალოდნელ მტრებს. საჭიროა, რომ მან იცოდეს საბჭოთა კონსტიტუციის არსი და მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ამოცანები. საჭიროა, რომ მან იცოდეს, რომ მთელ მსოფლიოს, მთელი მის მოვლენათა ნაირ-ნაირობით, საფუძვლათ უდევს თავის შინაგან კანონების მორჩილი მატერია. ჩვენ უნდა ბეჯითად გავანთავისუფლოთ მისი შეგნება ცრუმორწმუნეობისგან. ცრუმორწმუნეობა შინაგანი კბენართა, რომელიც უფრო აუძლურებს ადამიანს, ვიდრე გარეგანი კბენარი.

ჩვენ განუწყვეტლივ გავაუმჯობესებთ წმინდა სამხედრო სწავლებას. პოლკის უფროსმა უნდა თავის ამოცანად დაისახოს—ყოველი წითელარმიელი ისეთ განვითარების დონეზე აიყვანოს, რომ მას შეეძლოს, თუ საჭირო იქნება, განყოფილების უფროსობა.

უფროსების და კომისრების შემადგენლობის განუწყვეტელი მუშაობა წითელ არმიელის და თავის თავის განსავითარებლად წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მცნებას მეხუთე წლის მუშაობისთვის. მიუხედავად არმიის ხანმოკლე არსებობისა, ჩვენ დიდი გამოცდილება გვაქვს. ეს ჯერ კიდევ ქაოტიური გამოცდილებაა. იგი უნდა ზედმიწევნით შევისწავლოთ, შევამოწმოთ, გავწმინდოთ, მისგან რაც უფრო არსებითია გამოვყოთ და გავამტკიცოთ იგი მთელი არმიის შეგნებაში.

ყოველ დიდ საქმეს, მეტადრე ასეთს რთულ და ცვალებად ხანაში როგორც ჩვენი ხანაა, ჰყავს ორი დიდი მტერი: **რუტინერობა და ქარაფშუტობა.**

რუტინერობა ფიქრობს ძველი შაბლონებით, ანგარიშს არ უწევს ახალ გარემოებებს, მოკლებულია ინიციატივას, განზრახვის გაბედულებას და ასრულების მედგრობას სამხედრო საქმეში—ეს მომაკვდინებელი ცოდვაა.

ქარაფშუტობა ერთგვარად ეწინააღმდეგება რუტინერობას. იგი ჩვენს დროში არა იშვიათად ღებულობს „რევოლიუციონურ სახეს“. მან სწორედ შეამჩნია რუტინის ნაკლები, მაგრამ თითონაც საზოგადოთ ერიდება სერიოზულ მუშაობას, წარსულ გამოცდილების კეთილსინდისიერ და დაწვრილებით შესწავლას და თავის თავს ხიბლავს იაფ განსაზოგადოებრიობით და თავნება საქმეებით. სამხედრო საქმეში ქარაფშუტობაც მომაკვდინებელი ცოდვაა.

ჩვენ უნდა მტკიცედ შევიგნოთ, რომ არმიის ღირსების დონის ამაღლებას არ შეიძლება შეღოცვით უცებ მივაღწიოთ. არა, ეს წარმოადგენს მედგარ შრომას, ბეჯით, დაწვრილებით, ხანდისხან მოზაიკურ მუშაობის ამოცანას. ახალი სიტყვის თქმა—მცირესი თუ დიდისა—შეუძლიან მხოლოდ მას, ვინც ყურადღებით იცქირება ძირს, ყველაფერს შენიშნავს, ყველაფერს ანგარიშს უწევს და ყველასაგან სწავლობს. ხოლო ვინც ცდილობს ახალი სიტყვა უცებ სთქვას და მას თვალით დაეძებს ცაში, იგი უთუოდ ფეხს დაადგამს ფიცხს, რომელიც მას შუბლში მოსცხებს. არც რუტინერობა გვინდა, არც ქარაფშუტობა! ჩვენ გვჭირდება ბეჯითი, მედგარი, კეთილსინდისიერი მუშაობა!

ამ მუშაობას ამ ჟამად აღვილებს დიდი ყურადღება არმიისადმი მთელი საბჭოთა ფედერაციის მშრომელ მასების მხრივ ჯერ კიდევ სულ ამ ცოტა ხანში, ცდის სახით, ჩვენ შემოვიღეთ საბჭოთა შეფობა. როგორ სწრაფათ დაინერგა იგი და გაიშალა! რა კეთილ ნაყოფს იძლევა უკვე იგი ამ წამს! წითელი არმია დღემდეც შეადგენდა განუყოფელ ნაწილს მუშურ-გლეხურ რუსეთისას. მაგრამ ეხლა მათ შორის მყარდება უფრო ყოველ-დღიური, უფრო მჭიდრო კავშირი. თვითეულ დივიზიების დამოკიდებება საბჭოებთან, თვითეულ პოლკებისა ქარხნებთან და პროფესიონალურ კავშირებთან ზნეობრივად ამაღლებს არმიას და ჰქმნის უკეთეს მატერიალურ პირობებს მის არსებით მუშაობისთვის.

წითელი არმია დამშვიდებით და რწმენით იცქირება წინ: მეხუთე წელი არსებობისა იქნება მისთვის წელი დაუღალავ სწავლისა.

**ლ. ტროცკი.**

## ბრძოლა შიმშილობასთან

### საქართველოს დამშეულთა დახმარების სამდღეულის გადადება

საქართველოს დამშეულთა დახმარების სამდღეული, რომელიც დანიშნული იყო 11, 12 და 13 მარტს, გადადებულია 18, 19 და 20 მარტისთვის.

### დამშეულთა მთავარი კომიტეტი

საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი გადავიდა მიწად-მოქმედების კომისარიატის ბინიდან რუსთაველის პროსპექტზე, რაფაელოვის ყოფილ სახლში № 24, სადაც იღებენ ყოველგვარ შემოწირულებას საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ.

### ცირკულიარი № 135

**ყველა რაიონულ კომიტეტებს**

ამხანაგებო!

საქართველოს დამშეულ მცხოვრებთა დამხმარე მთავარი კომიტეტი უდგება 3 დღის განმავლობაში შემოწირულების აკრების ორგანიზაციას. საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ორგანიზაციების ყველა წევრებს და ამხანაგებს, რომელნიც საბჭოთა ორგანოებს სათავეში უდგანან, გაუწიონ ყოველგვარი დახმარება ზემო აღნიშნულ კომისიას და ხელი შეუწყონ აკრების წარმატებას. ამასთან ერთად თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა რაიონულ კომიტეტებს აწარმოონ სათანადო აგიტაცია რაიონებში.

თბ. კომიტეტის მდივნის მაგ. **ივანოვი.**
საორგანიზაციო განყოფილების გამგე **რუბენი.**

## სრ. საქართველოს ცენტრალურ აღმასკომის 1-ლი სხდომა

7 მარტს, საღამოს 8 საათზე შესდგა ც. აღმასკომის 1-ლი სხდომა, რომელზედაც აირჩიეს ც. აღმასკომის პრეზიდიუმი, სახალხო კომისართა საბჭო და დელეგაცია ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ც. აღმასკომების წარმომადგენლების კონფერენციისათვის. აღმასკომის პრეზიდიუმის, სახ. კომ. საბჭოსი და დელეგაციის შემადგენლობა მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში.

**ამხ. მახარაძის სიტყვა.**

ამხ. ფ. მახარაძემ ც. აღმასკომის თავმჯდომარედ არჩევის გამო წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

ამხანაგებო, ნება მიბოძეთ მხურვალე სალამი მოგიძღვნათ თქვენ, როგორც წარმომადგენელთა საქართველოს მშრომელი ხალხისას და მისი მიწა-წყლის ბატონ პატრონს. ჩვენ უნდა შეუდგეთ ამხანაგებო მძიმე და სერიოზულ მუშაობას. ჩვენ ბევრი

# საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

## საბჭოთა აღმშენებლობა და კონსტიტუცია

(ამხ. ბ. კვირკელიას მოხსენება)

ამხანაგებო! შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უმთავრეს მოვალეობას, როგორც თქვენ იცით, შეადგენს საბჭოთა აღმშენებლობა, თუ როგორ უნდა მოეწყოს ადგილობრივ და ცენტრში ხელისუფლების ორგანოები. დაწვრილებითი ანგარიში კომისარიატის მოღვაწეობის შესახებ დაბეჭდილია და დელეგატებს ურიგდება. ამისათვის მე აქ არ შეუდგები იმის განხილვას, თუ როგორ არის მოწყობილი ეს კომისარიატი, რა და რა სამმართველოები და განყოფილებები არსებობს, რა ბრძანებები, დებულებები და სხვა განკარგულებები იყო გამოცემული; ვინაიდგან ეს ერთის მხრივ მეტად მოსაწყენი იქნება და მეორე მხრივ ასეთი დაწვრილებითი ანგარიში კომისარიატის შესახებ უნდა წარედგინოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. მე დავალებული მაქვს მოგახსენოთ საბჭოთა აღმშენებლობის საკითხზე. სანამ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის შესახებ მიღებულ პროექტის კითხვას შეუდგებოდე, ნება მომეცით მოგახსენოთ, როგორ და რაგვარ პირობებში ჩაისახა საბჭოთა ხელისუფლების იდეა და რა სტადიები განვლო ამ ხელისუფლებამ თავის განვითარების და ჩამოყალიბების პროცესში. ჩვენ ვიცით ამხანაგებო, რომ საბჭოთა ხელისუფლება—ეს არის სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობის განსაკუთრებული ფორმა, რომლის მსგავსი ისტორიამ არ იცის. ეს ფორმა ახალი არის ბურჟუაზიული სახელმწიფოებისათვის, მაგრამ ახალი არ არის ჩვენთვის საქართველოში მომუშავე ამხანაგებისათვის. ჩვენ გვაქვს სახელმძღვანელოდ ოთხი წლის მაგალითი და გამოცდილება საბჭოთა აღმშენებლობისა რუსეთში და ეს გარემოება ჩვენ გვაყენებს გაცილებით უმჯობესს მდგომარეობაში, ვიდრე იყო რუსეთი ამ სამ-ოთხი წლის წინათ, როცა ის ახლად შეუდგა ამ ახალი ხელისუფლების, საბჭოთა სისტემის შექმნას. მაშინ რუსეთში, არ მოიპოვებოდა მასალა, პრაქტიკა და გამოცდილება ამ ახალი სისტემის შესახებ. ოთხი წლის განმავლობაში ისტორიამ არგუნა პროლეტარულ რუსეთს მეტად მძიმე და რთული მოვალეობა სოციალისტურ სახელმწიფოს მართვა გამგეობის მოწესრიგება და მისი სისტემის, სტრუქტურის შექმნა და გამოძებნა. ამ გარემოებამ, ამ მაგალითმა, საბჭოთა აღმშენებლობის პროცესმა, რუსეთში ამ ოთხი წლის განმავლობაში, ჩვენ მოგვცა ერთგვარი გამოცდილება, გაკვეთილი, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ აქ საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მოწყობის დროს. ეს მაგალითი უნდა დაუდვათ სარჩულად, საფუძვლათ საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის გამომუშავებას საქართველოში. ჩვენ უნდა აქ გულახდილათ ვაღიაროთ, ამხანაგებო, რომ არ შეიძლება ითქვას თითქოს საბოლოოდ დამთავრებული იყოს რუსეთში დღეს ამ ახალი სისტემის—საბჭოთა ხელისუფლების შექმნა და ჩამოყალიბება. მუშაობა ამ მხრივ კიდევ სწარმოებს, მაგრამ უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ დიადი შრომისა, მცირე წვრილმანების გამოკლებით, უკვე დამთავრებული არის რუსეთში, და შეიძლება დღეს დანამდვილებით ითქვას, რომ მტკიცე და საბოლოოდ არის ჩაყრილი საძირკველი ახალი ხელისუფლებისა რუსეთში.

მე მინდა აქ თავდაპირველად მივაქციო, ამხანაგებო, თქვენი ყურადღება ერთ საკითხს, რომლის შესახებ დღესაც იმტვრევენ თავს ბურჟუაზიულ სახელმწიფოების იდეოლოგები. ეს საკითხი არის საბჭოთა ხელისუფლების წარმოშობის შესახებ, საიდან წარმოიშვა ეს ახალი ხელისუფლება ეს ახალი სისტემა, რომლის მსგავსი, ვიმეორებ, ჯერ კიდევ არ იცის ბურჟუაზიულმა მეცნიერებამ. ბურჟუაზიული მეცნიერები, მწერლები და პოლიტიკოსები ეძებენ და ვერ გამოუნახავთ ის საიდუმლო უჯრედი, რომელმაც მოგვცა ჩვენ ეს ახალი სისტემა,—საბჭოთა ხელისუფლება. ბურჟუაზიულ წესწყობილების იდეოლოგებს გონიათ, რომ ყველაფერი რაც კი დედამიწის ზურგზე ხდება, უსათუოდ მეცნიერულ წიგნებში უნდა იყოს აღნუსხული. ეს რასაკვირველია ასე არ არის. საბჭოთა რესპუბლიკა უპირველესად ყოვლისა, შეიძლება ვთქვათ, არის პირმშო და ღვიძლი შვილი რევოლიუციონურ ქარტეხილისა. საბჭოთა ხელისუფლება მოგვცა ჩვენ რუსეთის პროლეტარულმა რევოლიუციამ. მანამდე კი ის არსად არ არსებობდა. მხოლოდ რევოლიუციას შეუძლია შექმნას ისეთი ფაქტორები, რომელთა შესახებ ვერ ივარაუდებს ვერც ერთი გენიოსი, მეცნიერი და მწერალი. მხოლოდ რუსეთის მუშებმა და გლეხებმა შექმნეს ეს ახალი ხელისუფლება და ამ სამ-ოთხი წლის უმაგალითო სამოქალაქო ომის პროცესში ჩამოაყალიბეს ეს ახალი სისტემა,—საბჭოთა ხელისუფლება განსაკუთრებულ სახელმწიფო ფორმაში.

1917 წელს მეორედ გაჩნდა მუშათა საბჭო პეტროგრადში და შემდეგ კი ეს ახალი ორგანიზაცია, მუშათა და გლეხთა საბჭოები, მოედვა მთელ უზარმაზარ რუსეთის ტერიტორიას. თქვენ გეხსომებათ, რომ ასეთი მუშათა საბჭო პირველად დაარსდა ჯერ კიდევ 1905 წელს წითელ პეტერბურგში, მაგრამ ეს პირველი საბჭო რეაქციამ ერთი თუ ორი თვის განმავლობაში მოსპო; მთელი რევოლიუციონური პეტერბურგი სტოლიპინმა სისხლში ჩაახრჩო, გაბაწრა და ციხეში ამოხოცა მუშათა საბჭოს წევრები. მაგრამ, ამხანაგებო, ეს პირველი სამწუხარო მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭო ამოუშლელად დამკვიდრდა პროლეტარულ მასის მეხსიერებაში. ეს პირველი მუშათა საბჭო გვიჩვენებდა ჩვენ იმ გზას, რომლითაც უნდა წასულიყო რევოლიუციონური რუსეთი გამარჯვების მოპოვებისათვის. მხოლოდ ეს პირველი მუშათა საბჭო და არა კაბინეტში მომუშავე პირები მიგვითითებდენ ჩვენ იმ ხელისუფლებას, იმ ორგანოს და ფორმას, რომელიც უნდა შეექმნა რევოლიუციას, რომ ის გამარჯვებით დამთავრებულიყო. ასეთი არის, ამხანაგებო, ამ ახალი ხელისუფლების სისტემის ისტორია, მაგრამ არის, ამხანაგებო, კიდევ ერთი მეტად მნიშვნელოვანი გარემოება, რომელსაც ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციის გამომუშავების დროს. პროლეტარულ რევოლიუციის პირველ ხანებში რუსეთის მუშათა კლასმა სცადა ბურჟუაზიულ სახელმწიფო წესწყობილებიდან პირდაპირ გადასულიყო სოციალისტურ წესწყობილებაზე. პირველ ხანებში, ამხანაგებო, რუსეთის მუშებმა და გლეხებმა სცადეს ბურჟუაზიულ სახელმწიფოს წესწყობილებიდან პირდაპირ გადასვლა სოციალისტურ წესწყობილების განხორციელებაზე—სოციალიზმზე. ამ მიზნის განხორციელებას რუსეთის მუშები და გლეხები პირდაპირ უკავშირებდნენ ევროპის რევოლიუციას. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ რევოლიუციამ ევროპაში დაიგვიანა. თუმცა პირველ ხანებში ევროპის ბურჟუაზია მეტად დააფრთხო რუსეთის რევოლიუციამ. მათ შეეშინდათ, ვაი თუ ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა ისეთივე ბედი გვარგუნონ, რაც რუსეთის მუშებმა და გლეხებმა რუსეთის კაპიტალისტებს და მემამულეებს არგუნეს. მაგრამ ბოლოს მაინც ბურჟუაზიამ შესძლო წელში გამაგრება და ბოლოს რევოლიუციონურად განწყობილ ევროპის მუშათა კლასზე შეტევაც დაიწყო. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვაქვს, ამხანაგებო, საშუალება ვიცოდეთ, თუ რამდენს ხანს გასძლებს ასეთი მდგომარეობა. ვიცით მხოლოდ, რომ ჯერ ჯერობით რუსეთის მუშების და გლეხების [illegible] არ გამართლდა.

და [illegible] ევროპაში აქტიურ რევოლიუციით ვერ გამოვიდა მუშათა კლასი, რაკი გამოირკვა, რომ რეაქციამ გაიმარჯვა ევროპაში, საჭირო შეიქმნა, საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკის, დებულებების გადათვალიერება და შეფარდება ახალ გარემოებასთან. ეს მოსაზრება მოვიყვანე მარტოდ იმისთვის, რომ დამენახვებინა, თქვენი ყურადღება მიმექცია იმ გარემოებისათვის, იმ ხანისათვის, რომელმაც თავისი განსაკუთრებული დაღი დაასვა რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც გამომუშავებული და მიღებული აქვს რუსეთის საბჭოთა წარმომადგენლების [illegible] ყრილობაზე. იმ დროს რუსეთი განიცდიდა იმ ხანას, როდესაც მოსალოდნელი და შესაძლებელი იყო გვეფიქრა, რომ პირდაპირ ნახტომს მივაღწევდით ბურჟუაზიულ სახელმწიფოდან სოციალისტურ სახელმწიფოში. ამის იმედს, უმთავრესად, გვაძლევდა ევროპის მოსალოდნელი რევოლიუცია. და ეს დებულება დაედვა საფუძვლად რუსეთის კონსტიტუციას, რომელიც გამომუშავებული იყო იმ დროს. მაგრამ ჩვენ ვართ მარქსისტები, რევოლიუციონერები და ვალდებულნი ვართ, ალღო ავუღოთ საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველგვარ ახალ პირობებს. რაკი გამოირკვა, რომ ევროპის რევოლიუციამ დაიგვიანა და ევროპის მუშათა კლასი წელს ვერ გაიმაგრებდა, რასაკვირველია, საჭირო შეიქნა ჩვენი პოლიტიკის გადათვალიერება და შეფარდება ახალ პირობებთან, ან, როგორც ამბობენ, ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან, და, რასაკვირველია, ასეც მოხდა. ჩვენ იძულებულნი გავხდით გადაგვეთვალიერებია საფუძველი რუსეთის საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციისა და შეგვეფარდებინა ის დებულებანი ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან. რაში გამოი-

ვსთქვით სიტყვები, ბევრი დაპირებანი და აღთქმანი მივეცით ერთმანეთს და ქვეყანას. დღეს, ამხანაგებო, სიტყვის დრო აღარ არის. დღეიდან ჩვენ უნდა შეუდგეთ სისტემატიურ და დიდ მძიმე საქმეს, საბჭოთა ხელისუფლების საბოლოოთ განმტკიცებას საქართველოში. ჩვენს წინაშე სდგას მეტად სერიოზული ამოცანები. ის რაც მოგვანდო საბჭოთა პირველ ყრილობამ, ის რაც ითქვა, ის რაც აქ ჩვენს წინაშე იყო წამოყენებული, სხვა და სხვა ამოცანები, ყველა ამათ საქმით უნდა შესრულება, საქმით უნდა ცხოვრებაში გატარება, ჩვენ უნდა გადავათვალიეროთ მთელი წარსული მუშაობა ამ ერთი წლის განმავლობაში, ყველა ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ, თუ რა ვერ გავაკეთეთ, რაც უნდა გაგვეკეთებია და რატომ ვერ გავაკეთეთ. ეს უნდა ავწონ დავწონოთ და მთელი ენერგიით, მთელი ძალღონით უნდა შევუდგეთ იმ საქმის კეთებას, იმ შენობის შენებას, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ეწოდება. მე დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველანი ერთათ, განურჩევლად ეროვნებისა, ჩვენ ყველანი ერთად აღფრთოვანებით გავწევთ იმ დიდ სამუშაოსკენ, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება ეწოდება და რომელიც შეადგენს მშრომელთა ძალაუფლებას, მშრომელი ხალხის დიქტატურას, მშრომელი კლასის საბოლოო გამარჯვების საფუძველს. ჩვენ ყველანი უნდა შევებათ ამ დიდ მუშაობას და ჩაუყაროთ მკვიდრი საფუძველი მშრომელთა გამარჯვების საქმეს. მე მოგიწოდებთ ამ შრომისაკენ და კიდევ ერთხელ გისურვებთ ნაყოფიერ მუშაობას და წარმატებას ამ დიდ საქმეში. (ტაში).

# წითელი არმია ოთხი წლის რევოლიუციის განმავლობაში

პეტროგრადის, მოსკოვის, დონეცის აუზის და ურალის წითელი გვარდიის მუშათა იაჩეიკებიდან 1917 წ. მარტ-მაისში ჩვენი დროის წითელი არმიის რეგულიარულ დივიზიებამდე სძევს გზა მათი ძნელი წვრთნის, გზა გამარჯვებათა და დამარცხებათა, გზა რომელიც დასრულდა შინაური და გარეშე ფრონტების ლიკვიდაციით.

მეფის არმიას ეწვია ძველი რუსეთის ბედი; დაშლის ელემენტები იყვნენ იქ დიდხანს უკვე თებერვლის რევოლიუციამდე: გლეხკაცობა, დაღლილი მისი მიზნებისათვის უცხო ომებისაგან, უკვე 1916 წლის მაისში იწყებს მტერთან დაძმობილებას, გადადის მის მხარეზე. რევოლიუციამ მოსპო მეფის არმია, როგორც ორგანიზმი; ის დაიშალა შემადგენელ ნაწილებათ და მუშათა კლასი, მიიღო რა ძალა უფლებასთან ერთათ მძიმე მემკვიდრეობა ძველი რეჟიმისაგან, სამხედრო გარემოებათა უშუალო გავლენის ქვეშ შეიქნა იძულებული ეშენებია თავისი მუშურ-გლეხური წითელი არმია. როგორია გზა ამ აღმშენებლობის? როგორია მისი შედეგები ოთხი წლის რევოლიუციის შემდეგ?

**პირველი ხანა. თებერვლიდან ოქტომბრის გადატრიალებამდე.**

1917 წლის 24 თებერვალს პეტერბურგში დაიწყო გაფიცვები; ჯარი პოლიციასთან შებრძოლების შემდეგ ხალხის მხარეზე გადავიდა; მეფის სასახლეებზე აღიმართა წითელი დროშა რევოლიუციის. მაგრამ ამ დროს ჯარს, რომელიც უმთავრესათ გლეხობისაგან შესდგებოდა და ასეთი ერთსულოვანობით გამოვიდა თავისი „უზენაესი წინამძღოლის" წინააღმდეგ, არ ჰქონდა რევოლიუციონური ორგანიზაცია; პროლეტარიატს, რომელიც იყო ფაქტიური ძალა გადატრიალების—არ ჰყავდა მასიური პარტია; ერთათ-ერთ შეკავშირებულ ძალათ აღმოჩნდა ბურჟუაზია და ძალაუფლებაც მის ხელში გადავიდა, მაგრამ იდილიურმა გარეგანმა შეხედულებამ ვერ დამალა, დაასუსტა ფაქტი კლასიური ბრძოლის; კითხვა კლასიური შეიარაღებული ძალის შექმნის შესახებ დადგა პროლეტარიატის წინ მორიგ ამოცანათ. პეტროგრადისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშები თებერვლის გადატრიალების მეორე დღესვე იწყებენ შეიარაღებას და მუშათა წითელი გვარდიის პირველი ჩანასახების შენებას. პროტესტები მთავრობისა და შემთანხმებელთა საბჭოსი ხელს ვერ უშლიან მუშებს ივლისის თვისთვის იყოლიონ ათი-ათასიანი წითელ გვარდიელები. ივლისის დღეების შემდეგ, როდესაც ბოლშევიკების პარტია ჯერ ქვეშ, ჯურღმულში მოაქციეს, ეს მუშაობა ინგრევა, ფერხდება, მაგრამ კორნილოვის აჯანყების ლიკვიდაციის შემდეგ, ხელახლა სდგებიან მუშათა ბათალიონები, ყველა ფაბრიკებში და ზავოდებში სწარმოებს სამხედრო სწავლება და ოქტომბრის დღეებში, წითელი გვარდია მატროსებთან ერთათ ამარცხებს კრასნოვს და კერენსკის პეტროგრადის მისავალთან. მოსკოვი და პროვინცია არ ჩამორჩენ პეტროგრადს: ურალზე უკვე ივნისიდან დაწყებული „სახალხო არმიის მებრძოლ ორგანიზაციებს" აქვთ თავისი შტაბი, რომელიც ემორჩილება პარტიულ კომიტეტს და იქმნება მტკიცე ბაზა ძალაუფლების გადასასვლელათ მუშათა ხელში; ოდესასა და მოსკოვს უკვე აპრილში ყავთ თავის წითელ გვარდიელების რაზმები. ამ სტიქიურ მოძრაობასთან პარალელურათ ყველაზე უფრო მოწინავე მუშების წრეში უკვე 1917 წლის მარტიდან ეწყობა რ. ს. დ. მ. პარტიის (ბალშევიკების) პეტროგრადის კომიტეტის სამხედრო ორგანიზაცია, ყველა პოლკებში და გარნიზონის ცალკე ნაწილებში არის გაბმული კავშირი და სწარმოებს მასიური ორგანიზაციული მუშაობა. სამხედრო კომიტეტი გადაიქცა სრულიად რუსეთის ცენტრათ. უნიჭობა შემთანხმებელთა მთავრობის, რომელმაც ვერ გამოიყვანა ქვეყანა ჩიხიდან, მოღალატური აგრარული პოლიტიკა, მასების სურვილი ომის გათავების—ყოველივე ამათ შექმნეს პირობები, როდესაც სამხედრო ორგანიზაცია გაპირვებით იკავებდა უდროვო აჯანყებას. ივლისის დღეებს მოჰყვა ორგანიზაციების დარბევა. არალეგალური სამხედრო მუშაობა ღრმავდება და პოლიტიკურათ პროლეტარიატისა და სალდათთა მასების შეიარაღებისა და შეკავშირებისა იწყება ფართო და ნაყოფიერი კამპანია ფრონტზე და ზურგში მდგომ გარნიზონების ნაწილებში. ახლოვდება ოქტომბრის დღეები. სამხედრო კომიტეტი იმუშავებს აჯანყების გეგმას. გზავნის კომისრებს პეტროგრადის ნაწილებში, ხელში იგდებს მათი დახმარებით იარაღის საწყობებს და სამხედრო მასალას, ხელმძღვანელობას უწევს თანდათან ფართოთ მიმდინარე აჯანყებას.

წითელმა გვარდიამ, რომელიც ყოველგან იქნა შედგენილი პროლეტარიატის შეიარაღებული ძალის ამ პირველ ხანაში, მოგვცა მაგარი ცენტრი მომავალი წითელი არმიისათვის. ეს პირველი რაზმები გამოწრთობილი შეიქნენ აჯანყებათა ცეცხლში, ემზადებოდნენ თავის მომავალი მძიმე ბრძოლისთვის.

**მეორე ხანა. ოქტომბრიდან წითელი არმიის შესახებ დეკრეტის გამოცემამდი.**

ბრძოლა პეტერბურგის ქუჩებზე და კიდევ უფრო სასტიკი შეჯახებები მოსკოვში, სადაც რევოლიუციონურ გარნიზონს მოუხდა დაეხვეინებია იუნკრების ნაწილებისთვის კრემლისკენ და ძალათი ამოეგლიჯ-ამოეკრიბა ისინი თითო სახლიდან, ეს ბრძოლები დათავდნენ რევოლიუციის გამარჯვებით. კერენსკიმ მოახერხა დაეძრა ფრონტიდან მხოლოთ რამოდენიმე პოლკები გენერალ კრასნოვის ხელმძღვანელობით, ეს ნაწილები დამარცხებული შეიქნენ წითელ გვარდიელების მიერ სასტიკ ბრძოლებში პეტროგრადთან. ნოემბრის შუა რიცხვებში „სტავკა" გადადის ამხ. კრილენკოს ხელში და კონტრ-რევოლიუცია იხევს განაპირა ქვეყნებისკენ, იქ გასამაგრებლათ. კალედინი თავს უყრის დონზე აფიცრების პოლკებს, დუტოვი იპყრობს ორენბურგს, პეტლიურა და ვინიჩენკო ჰქმნიან უკრაინის რადას, სემიონოვი ციმბირში და დოვბორ-მუსნიცკი ბელორუსიაში. წითელ არმიელ მუშათა რაზმები გადაეშვენ სასტიკ ბრძოლაში. პეტროგრადი აგზავნის მხოლოთ ერთ დონის ფრონტზე ათი ათას კაცს; მოსკოვისა და ურალის მუშები არ უვარდებიან უკან პეტროგრადისას. რევოლიუციონური აღტყინება ამოძრავებს ამ მასებს საბრძოლველათ, ხშირათ კარგათ შეკავშირებულ მტრის წინააღმდეგ, რომლის სათავეში დგანან დიდი სამხედრო სპეციალისტები. ცუდი სწავლება, სუსტი დისციპლინა, შეუკავშირებლობა და მოქმედება ცალკე რაზმებით—ეს ნიშანდობლივი თვისებები ყოველი სახალხო შეიარაღებული ძალის დასაწყისი ხანის—იყო დამახასიათებელი ჩვენი პირველი პარტიზანული ნაწილებისათვისაც. მაგრამ ეს ნაკლი იფარებოდა ფოლადისებური ნებისყოფით გამარჯვებისათვის, ბრძოლის თანდათანობით მებრძოლთა ინიციატივით და ადგილობრივი მუშებისა და გლეხების დახმარებით. ოთხი თვის ბრძოლის შედეგათ ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ჩვენმა ჯარმა ხელთ იგდო კიევი, დაიკავა ორენბურგი, დაამარცხა კალედინელები ტაგანროგთან, ალექსეევის ნაწილები როსტოვთან, დოვბორ-მუსნიცკი როგაჩევთან და ჟლობინთან. ასე რომ აპრილის შუა-რიცხვებში მთელი უკრაინა, დონი, ურალი და ციმბირი გაერთიანდნენ მუშურ-გლეხურ მთავრობის ხელში. უკანასკნელი, მოკლე დროის განმავლობაში სცემს დეკრეტებს ზავზე, პომეშჩიკების მიწის საკუთრების გაუქმებაზე, წოდებათა და უპირატესობათა მოსპობაზე; იწყება საზავო მოლაპარაკება ავსტრია-გერმანიასთან. რა ხდება ამ დროს მეფის არმიაში?

ამ არმიის ხელმძღვანელი ნაწილების უმრავლესობა აღმოჩნდა მუშათა რევოლიუციის წინააღმდეგ; სალდათებმა იწყეს თავის ნებით დემობილიზაცია; არმია შიგნით დანგრეული იყო და მაზე არ შეიძლებოდა დაყრდნობოდა პროლეტარული რევოლიუციის შეიარაღებული ძალების აღმშენებლობა; თითო სალდათი, იქნებოდა ის მუშა თუ გლეხი, დაქანცული ოთხი წლის შეუწყვეტელი ომით, უნდა შესულიყო თავის სამუშაო ადგილების იაჩეიკებში და იქიდან ხელახლა დაბრუნებულიყვნენ ახალ არმიაში, რომელიც მოწყობილი იქნებოდა მუშების და გლეხების ინტერესების თანახმათ; ნაწილები, რომლებიც დარჩნენ ფრონტებზე, მთლათ დაშლილი იყვნენ; რამოდენიმე პოლკები ლატიშელების და ის ნაწილები, სადაც ბალშევიკების გავლენა იყო ძალიან დიდი, წარმოადგენდნენ ერთათ ერთ ძალას ძველი არმიიდან, რომელზედაც შეიძლებოდა დაყრდნობა. დანარჩენი მასა შინისკენ მიიწევდა და ანგრევდა რესპუბლიკის ისედაც სუსტ ტრანსპორტს.

18 თებერვალს გერმანელები გადმოვიდნენ შეტევაზე და დაიკავეს დვინსკი, მარტის დასაწყისში—პსკოვი და სწრაფათ მიემართებიან პეტროგრადისკენ; ფრონტის ნაწილები უკან იხევენ რაიმე წინააღმდეგობის გაუწევლათ. წითელი გვარდია პეტროგრადის პროლეტარიატის ერთ ღამეს ჰქმნის მუშათა პოლკებს; სმოლნიში სდგება შტაბი; მეორე დღეს ფრონტზე იგზავნება ჯავშნიანი მატარებლები და არტილერია; ორი დღის შემდეგ მიდის კავალერიის ნაწილი. „სოციალისტური სამშობლო განსაცდელშია" ამბობს თავის მოწოდებაში ამხ. ლენინი. წითელი პეტროგრადი ინათლება ბრძოლაში და უკუ აქცევს შემოსეულ გერმანელებს. ჩამოვარდა დროებითი ზავი, რომელიც დათავდა ბრესტით. რესპუბლიკის საერთო მდგომარეობა მოითხოვდა წითელი არმიის დაჩქარებით შექმნას. სავალდებულო სამხედრო ბეგარის პრინციპი არ იყო შესაფერისი მაშინდელი მომენტის და მშრომელთა სულისკვეთებისათვის; როგორც დროებითი ზომა, შემოღებულ იქნა პრინციპი მოხალისეობის, ადგილობრივი საბჭოების ფართო ინიციატივით. ამ კითხვის დამუშავების შემდეგ წითელი არმიის სრულიად რუსეთის კოლეგიაში და დეკრეტის საფუძვლების მიღების შემდეგ საბჭოთა მესამე ყრილობის სალდათთა სექციაში, სოვნარკომი სცემს დებულებას მუშურ-გლეხური წითელი არმიის შესახებ.

**მესამე ხანა. წითელი არმია მოხალისეობის საფუძვლებზე.**

(1918 წლის თებერვალი—ივლისი).

„ახალი არმია, ამბობს დეკრეტი, გამოქვეყნებული 1918 წლის 23 თებერვალს, სდგება მშრომელთა კლასების უფრო შეგნებული და შეკავშირებული ელემენტებისგან; ის იქნება „საძირკველი" მუდმივი ჯარის შესაცვლელათ საყოველთაო სახალხო შეიარაღებით ახლო მომავალში და დახმარებას გაუწევს მოსავალ სოციალისტურ რევოლიუციას ევროპაში". ამ დეკრეტით საფუძველი ეყრება პროლეტარიატის რეგულიარულ არმიას. მუშა წითელი გვარდიელები, რომლებიც დარჩნენ უმთავრეს ცენტრათ ახალი ნაწილებისათვის, გარშემოვლებული შეიქნენ მშრომელ მოხალისეთა მიერ ე. ი. ისეთების მიერ, რომლებიც არ ახდენენ სხვისი შრომის ექსპლოატაციას და სამხედრო ოპერაციების განვითარებასთან ერთათ იქმნებიან წითელი არმიის პირველი ნაწილები. იმავე დროს სწარმოებს მუშაობა აღრიცხვის ადგილობრივი ორგანოების მოსაწყობათ, ურომლისოთ შეუძლებელია გადასვლა სამხედრო ბეგარაზე; ეწყობა პირველი კურსები რევოლიუციონური კომიტეტის ინსტრუქტორების მოსამზადებლათ. იწყება ჩვენი სამხედრო სპეციალისტების მოწვევა არმიაში. ამხ. ტროცკის მოხსენების თანახმად სრ. რუსეთის აღმასკომი ადასტურებს 22 აპრილის დეკრეტს ვოლოსტების, სამაზრო, საგუბერნიო, საოლქო სამხედრო კომისარიატების მოწყობის შესახებ, მუშებისა და გლეხებისათვის სამხედრო საქმის სწავლებაზე, სავალდებულოთ აცხადებს მოხალისეთა ყოფნას წითელ არმიაში ნახევარი წლის განმავლობაში; იმავე დროს კამანდირების არჩევა გაუქმებულ იქნა, მოუმატეს კომანდირების კურსების რიცხვს, დაბოლოს საბჭოთა მეხუთე ყრილობის მიერ შემოღებულ იქნა თანდათანი ცენტრალიზმი სამხედრო მმართველობის საქმეში და ბრძოლას უცხადებენ ყოველგვარ „კუსტარნიკობას" (1918 წლის 5 ივლისი).

წითელი არმიის შექმნის მუშაობა ვითარდებოდა სასტიკი ბრძოლის დროს უკრაინაში და დონზე, მსოფლიო ბურჟუაზია ისწრაფის დახმარება აღმოუჩინოს თავის უბედურ თანამოძმე, რუსეთის ბურჟუაზიას, პეტლიურა გერმანელი და ავსტრიელი პოლკების დახმარებით ხელში იგდებს უკრაინას და ყირიმს. პეტლიურას შემთანხმებელი პოლიტიკა აიძულებს გერმანელებს მის ადგილს წამოაყენონ გეტმანი სკოროპადსკი. კრასნოვი, რომელიც სწვევდა კალედინის მაგიერობას, იპყრობს როსტოვს, ნოვოროსიისკს და დონეცის აუზს. საქართველოში და ბაქოში, ინგლისელების დახმარებით, ბატონდებიან მენშევიკები.

ჩვენი წითელი ნაწილები, სუსტათ შევსებულნი მოხალისეთა მიერ, ეწევიან სასტიკ ბრძოლას. რაზმებმა ამხ. სივერსის და ამხ. კიკვიძის, რომლებიც დაიღუპენ გმირულათ წითელ ფრონტებზე, საუკუნო დიდებით შემოსეს თავისი ხსოვნა გაიდამაკებთან და კრასნოვთან ბრძოლაში. ჩეხოსლოვაკების აჯანყება ვოლგაზე, აჯანყება იაროსლავში, ტამბოვში და კოზლოვში, ყველა ეს არის რგოლები ერთი ჯაჭვის, რომელიც გაჰქონდა ანტანტამ რუსეთის რევოლიუციის დასახრჩობათ. შინაური და გარეშე ფრონტები მოითხოვენ რეზერვებს და ახალ ძალებს; მოხალისეობა ვერ შველის საქმეს; აღრიცხვის აპარატები ადგილობრივ არსებობენ, არსებობენ აგრეთვე კამანდირების კადრები და 1918 წლის 28 ივლისს ცხადდება პირველი მობილიზაცია. მიმდინარე ამბების ოპერატიული ხელმძღვანელობის თვალსაზრისით მთელი ეს პერიოდი, რესპუბლიკის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭოს და მასთან ერთიანი საველე შტაბის შექმნამდი, ხასიათდება მრავალ მმართველობით, პარალელიზმით, ცალკე ნაწილების მთავარ სარდლების და სხვ. დიდი ავტონომიით. კიდევ თებერვალში გერმანელების შემოტევის დროს ეწყობა უმაღლესი სამხედრო საბჭო, როგორც ოპერატიულ-ორგანიზაციული ცენტრი დასავლეთის მტრის წინააღმდეგ; დასავლეთისკენ პირმიშვერილი მუშაობს სწორეთ ის; შინაური ფრონტების შექმნამ აუცილებელი გახადა ოპერატიული ცენტრის შექმნაც—ასეთათ შეიქნა მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის ოპერატიული განყოფილება, თუ ამას მივუმატებთ საველე „სტავკას" შტაბს და, დაბოლოს, სრ. რუსეთის უმთავრეს შტაბს გენერალური შტაბის მმართველობასთან ერთათ, რომლებიც ისევ მუშაობდნენ—ჩვენთვის გასაგები იქნება გაერთიანების საჭიროება, რამაც ჰპოვა განხორციელება რევოლიუციონური სამხედრო საბჭოს შექმნით; ამნაირათ—ცენტრში დაქსაქსულობა და უსისტემობა; ადგილებზე—ცოცხალი ინიციატივა ქვედა ფენებიდან და სისტემა „კორდონების" ასეთია ხასიათი ამ პერიოდის.

**მეოთხე ხანა, ჩეხოსლოვაკებიდან კოლჩაკამდე.**

(1918 წ. ივლისი—1919 წ. მარტი).

ჩეხოსლოვაკების კორპუსი, 30 ათას შტიკიდან 3 დიუმიანი ზარბაზნების რვა ბატარეიდან, ჯავშნიანი მატარებლებისა და საჰაერო ესკადრიდან შემდგარი უნდა წასულიყო ვლადივასტოკით საფრანგეთის ფრონტზე; ჩვენ არ შევჩერდებით მათი აჯანყების მიზეზებზე; თავის დროზე ეს კითხვა საკმაოთ გაშუქებული იყო და არმიისა და განსაკუთრებით აფიცრობის ფულით სუბსიდიაში საფრანგეთისა და ინგლისის მთავრობათა მონაწილეობამ გვიჩვენა ჩვენ სარჩული ამ ისტორიის. 29 მაისს ჩეხები იკავებენ პენზას; შემოიკრიბებს რა თავის ირგვლივ ურალისა და ციმბირის ყველა რეაქციონური ძალები, მათ ხელში ჩაიგდეს სამარა, სიმბირსკი, უფა და ეკატერინბურგი; შემდეგ სიჩქარით მიიწევიან მოსკოვისკენ; 28 ივლისს იჭერენ ყაზანს, ჩაიგდეს ხელში ჩვენი ოქრო და თოფის წამლის დიდი საწყობები. დაახლოვებით ამ დროსვე ინგლის-ამერიკის ნაწილები იკავებენ მურმანსკს და თეთრი ზღვის ნაპირებს და თავის ფლოტს უშვებენ დვინაზე; მთელი რიგი აჯანყებების ზურგში და ცდა მემარცხენე ესერების, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ბრესტის ზავით, ცდა ძალაუფლების დასაპყრობათ მოსკოვში და ფრონტებზე (მურავიოვის ავანტიურა) ფრიად სერიოზულ მდგომარეობაში აყენებენ რუსეთს. ფრონტისა და ზურგის კავშირი აღმოჩნდა ამ დროს განსაკუთრებით მტკიცე. ქვეყანა პირდაპირ სამხედრო ბანაკათ იქცა. მოუწოდებენ მუშებს ჯერ მოსკოვში, და პეტროგრადში, შემდეგ პროვინციაშიც, მასიური მოწოდება ოფიცრების და უნტერ-ოფიცრების და ყოფილ ოფიცრების იძლევიან არმიისათვის საჭირო კადრებს, პარტიული ძალების მასიურმა დახმარებამ შექმნა კარგი სულიერი განწყობილება წითელ არმიელების; არმია კარგავს უკანასკნელ ხასიათს არარეგულიარობისას და პირველი წითელი დივიზიები ამხ. ტუხაჩევსკის ხელმძღვანელობით იძვრიან აღმოსავლეთისკენ.

ხატება ეს ახალი პოლიტიკა? რა შინაარსის არის ის?

„სახელმწიფო კაპიტალიზმიდან სოციალიზმამდე", თუ უწინ ვამბობდით, „ბურჟუაზიულ სახელმწიფოდან პირდაპირ სოციალიზმში", დღეს ვამბობთ: ჩვენ უნდა გავიაროთ კიდევ სტადია სახელმწიფო კაპიტალიზმსა და შემდეგ ამოვყოთ თავი სოციალისტურ წესწყობილებაში. ეს ახალი დებულებაა, რომელიც არ ჰქონდა გათვალისწინებული რუსეთის საბჭოთა კონსტიტუციას, რომელიც მუშავდებოდა 4 წლის წინად. ეს ახალი დებულება ჩვენ ჩვენს პროექტში შევიტანეთ.

ამ მოკლე წინასწარ მოსაზრებების შემდეგ, მე გადავდივარ, ამხანაგებო, იმის აღნუსხვაზე, თუ რა უმთავრესი პრინციპი უდევს საბჭოთა ხელისუფლების კონსტიტუციას. პირველი და უმთავრესი დებულება—ეს არის სახელმწიფოს კლასიური ორგანიზაცია. ჩვენ ვიცით, რომ ყოველგვარი სახელმწიფოს ფორმა, როგორი სახელმწიფოც არ უნდა ავიღოთ, აგებულია კლასიურ ნიადაგზე. განსხვავება იმაში მდგომარეობს მხოლოდ, რომ ერთ შემთხვევაში გამეფებულია ერთი კლასი, მეორე შემთხვევაში—მეორე კლასი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოში—გამეფებულია ბურჟუაზია, კაპიტალისტები, მსხვილი საკუთრების მქონე კლასი. პროლეტარულ სახელმწიფოში—მართვა-გამგეობა ეკუთვნის პროლეტარიატის წარმომადგენლთ. ეგრედ-წოდებული „საყოველთაო საარჩევნო ხმის უფლებით, ბურჟუაზია გვარწმუნებს ჩვენ, რომ ბურჟუაზიული სახელმწიფოს იდეოლოგები გვარწმუნებენ, რომ ისინი აღწევენ ზეკლასიურ სახელმწიფოებრივ ფორმას, სადაც თანაბრად არის დაცული ყველა კლასების ინტერესები, ინტერესი მთელი ხალხისა, სადაც მიუხედავად სოციალურ განსხვავებისა, სახელმწიფო ერთნაირად იცავს ყველას ინტერესებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს ასე არ არის, რომ ეს თვალთმაქცობაა, ჩვენი მოტყუილებაა და მეტი არაფერი. არსებითად, ყოველგვარ ფორმაში სახელმწიფოისა ბატონობს ან ერთი კლასი, ან მეორე. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში თუმცა არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთელი ძალა-უფლება უკავია ბურჟუაზიის წარმომადგენელთ და იქ იჩაგრებიან პროლეტარული მასები და უღარიბესი გლეხები. პროლეტარულ სახელმწიფოში ძალა უფლება აქვს პროლეტარიატს და ღარიბ გლეხობას, და ის სჩაგრავს მის მოწინააღმდეგეს, მოსისხლე მტერს—ბურჟუაზიის წარმომადგენელთ (ტაში). ეს არის, ამხანაგებო, ერთად-ერთი უმთავრესი საფუძველი, უმთავრესი დებულება, რომელიც გავლებულია წითელ ზოლივით მთელი ჩვენი კონსტიტუციის იმ პროექტში, რომელსაც გირდგენთ თქვენ დასამტკიცებლად.

მეორე დებულება, რომელიც საფუძვლად უდევს საბჭოთა ხელისუფლებას და მის კონსტიტუციას, ეს არის, ამხანაგებო, დემოკრატიული ცენტრალიზმი. ხელისუფლების ცენტრალიზაცია აუცილებელი არის, თუ არ გვინდა, რომ ერთგვარი არევა და ანარქია შევიტანოთ სახელმწიფოში. ერთი ნებისყოფა ზევიდან ქვევით და ქვევიდან ზევით, ერთი სურვილი მამოძრავებელი ძარღვი აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ, თუ არ გვინდა, რომ თვითეულმა ჩვენგანმა სხვა და სხვა ენაზე ილაპარაკოს და ანარქია გაამეფოს, მაგრამ დემოკრატიულ ცენტრალიზმს თან სდევს ბევრი უარყოფითი მხარე. ეს მხარეები რომ ჩამოვაცილოთ,—დემოკრატიულ ცენტრალიზმს, და დემოკრატიული ცენტრალიზმი რომ ბიუროკრატიზმად არ გადავაქციოთ, რომ მას დემოკრატიული ელფერი მივცეთ, და არა ბიუროკრატიული—საბჭოთა ხელისუფლების მიერ არის შემოღებული შემდეგი დებულება. ეს არის: აღმასრულებელ კომიტეტების განყოფილებათა ორმაგი დამოკიდებულება; ერთის მხრივ განყოფილებები აღმასრულებელ კომიტეტისა ექვემდებარებიან ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, და მეორეს მხრივ კი—ეს განყოფილებები ექვემდებარებიან და ემორჩილებიან შესაფერ ცენტრალურ სახალხო კომისარიატს. განყოფილებების ამგვარი ორმაგი დამოკიდებულებით ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებთან და ცენტრალურ ორგანოებთან, ჩვენ, ესე ვსთქვათ, ვალაგებთ, ვაწესრიგებთ, ერთგვარ თანხმობას და ისეთ პირობებს ვქმნით ადგილობრივად, რომ არც სახელმწიფოებრივი ინტერესი, და არც ადგილობრივი ინტერესი ერთი მეორეს არ შეეცილონ. მართალია, შეიძლება სახელმწიფო ინტერესებს შეეწიროს ადგილობრივი ინტერესი, მაგრამ, ყოველ დროს, საჭიროა თუ არა, ადგილობრივი ინტერესის მსხვერპლად შეწირვას სახელმწიფოსთვის ყოვლად დაუშვებელია.

ამიტომ განყოფილებები ემორჩილებიან როგორც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს, ისე ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. და ამგვარად, თანაბრად არის დაცული როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ცენტრალურ ორგანოების ინტერესები—მთელი რესპუბლიკის ინტერესები. ეს მეორე დებულება, ამხანაგებო, რომელიც გატარებულია ჩვენ კონსტიტუციაში, არის განყოფილებათა ორმაგი დამოკიდებულება. ვიმეორებ, ამ ორმაგი დამოკიდებულების შემწეობით ჩვენ ერთმანეთს ვუთანხმებთ, როგორც ადგილობრივის, ისე ცენტრალურ ორგანოების ინტერესებს. რომ არც ერთი, არც მეორე დაჩაგრული არ იყოს, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ცენტრალურმა ორგანომ მთელ სახელმწიფოს პოლიტიკას, მაგრამ, ამასთანავე ამ პოლიტიკას არ შეეწიროს ადგილობრივი ინტერესები. შემდეგ, ამხანაგებო, ცენტრის და ადგილობრივი ინტერესების შესაფარდებლად საბჭოთა კონსტიტუციაში შემოღებულია შემდეგი წესი: გაუქმება იმ დადგენილების და განკარგულებისა, რომელიც გამოვა ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის ან სახალხო კომისარიატისაგან, როგორც მაზრებში, აგრეთვე ცენტრში, შეიძლება მხოლოდ უზენაეს ორგანოს მიერ,—ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ან სახალხო კომისარიატთა საბჭოს მიერ. სახალხო კომისარს კონსტიტუციის ძალით არ აქვს უფლება, რომ ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტის განკარგულება გააუქმოს ამასთანავე, არც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტს აქვს უფლება გააუქმოს და გაანიაოს სახალხო კომისრის განკარგულება. იმ შემთხვევაში, როდესაც რომელიმე საკითხი სადავო ხდება, ამ საკითხს სწყვეტს რესპუბლიკის უზენაესი ორგანო—ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო.

ასეთია უმთავრესი ერთი დებულებათაგანი, რომელიც შევიტანეთ კონსტიტუციაში და რომელიც გამომუშავებული აქვს მე-7 და მე-8 საბჭოთა წარმომადგენელთა ყრილობას რუსეთში. მაგრამ, არი ერთი შემთხვევა, როცა აღმასრულებელ კომიტეტს ადგილობრივად უფლება ეძლევა არ შეასრულოს სახალხო კომისრის ბრძანება, ან განკარგულება. ეს ერთი შემთხვევა მხოლოდ მაშინ არის, როდესაც რომელიმე სახალხო კომისარი უკანონო განკარგულებას სცემს, ან თუ რომელიმე სახალხო კომისრის განკარგულება ეწინააღმდეგება რომელიმე დეკრეტს, მთავრობის დადგენილებას, ან ბრძანებას, როცა აშკარად ეწინააღმდეგება. სწორედ ამ შემთხვევაში ადგილობრივ კომიტეტს უფლება აქვს არ შეასრულოს სახალხო კომისრის ბრძანება, მაგრამ იმ შემთხვევაში კი. თუ აღმასრულებელმა კომიტეტმა უკანონოდ შეაჩერა სახალხო კომისრის განკარგულება, ის პასუხისგებაში იქნება მიცემული მთელი თავის შემადგენლობით. შემდეგ, ჩვენ შევაჩერებთ თქვენ ყურადღებას იმ დამატებაზე, რომელიც შევიტანეთ ჩვენ კონსტიტუციაში, და რომელიც რუსეთის კონსტიტუციის დებულებაში გამოტოვებული არის. ეს დამატება და ცვლილება გახლავთ შემდეგი: რუსეთის კონსტიტუციაში სრულიად გამოტოვებული არის დებულება სასამართლოს შესახებ. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის შემდეგ კი აუცილებლად საჭირო შეიქნა ამ ინსტიტუტზე, სასამართლოზე განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა. სასამართლოს ფუნქციები ამ ახალ ეკონომიურ პოლიტიკის გამო, მეტად ფართოვდება. ყოველგვარი სისხლის სამართლის და სამოქალაქო საქმეები ირჩევა მხოლოდ სასამართლოს წესით. სასამართლოში ყოველგვარი საკითხები წყდება იმ კანონის მიხედვით, რომელიც არსებობს.

მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის საკითხი არავითარ დეკრეტით, კანონით გათვალისწინებული არ არის, იმ შემთხვევაში სასამართლო სწყვეტს საკითხს რევოლიუციის სინდისის მიხედვით. მომავალში უფრო დაწვრილებით იქნება შემუშავებული სასამართლოს დებულებანი; ჩვენ კონსტიტუციაში კი შევიტანეთ მხოლოდ ზოგადი ხასიათის დებულებანი. გარდა ამისა, ამხანაგებო, საბიუჯეტო უფლება უფრო ფართოთ არის გამომუშავებული ჩვენს კონსტიტუციაში, ვიდრე რუსეთის კონსტიტუციაში, ვინაიდან, ვიმეორებ, ბიუჯეტის სასამართლოს და სხვა ამ დაგვარო საკითხებს არ ვაქცევდით მაშინ იმდენ ყურადღებას, როგორც დღეს როდესაც განვიცდით ახალ ეკონომიურ ხანას. ეს საბიუჯეტო უფლების ხანა, რომელიც მიღებულ იქნა საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე რუსეთში, ჩვენ ცალკე თავად გამოვიმუშავეთ,—ეს არის საკითხი, დებულება ახალ ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკის შესახებ. კონსტიტუციის ამ თავში, ამხანაგებო, გათვალისწინებული არიან ყველა დაწესებულებანი სავაჭრო ხასიათისა: ბირჟები, ბანკები და სხვა დაწესებულებანი, რომელნიც აუცილებლივ საჭირონი არიან დღეს დღეობით, რადგანაც საქმე გვაქვს საქონლის გაცვლა-გამოცვლასთან. სწორედ საქონლის გაცვლა-გამოცვლის გასაფართოებლად ამგვარი დაწესებულებანი აუცილებლივ საჭირო არიან. ეს დაწესებულებანი არ იყო შეტანილი რუსეთის კონსტიტუციაში, ვინაიდან მაშინ სულ სხვა მიზანი ჰქონდა დასახული რუსეთის კონსტიტუციას. ეხლა კი, იმის და მიხედვით, თუ რანაირათ გამოიცვალა ჩვენი შეხედულება თანამედროვე მომენტში. ახალ ეკონომიურ პოლიტიკასთან შეთანხმებით, საჭირო შეიქნა ასეთი დაწესებულებათა კონსტიტუციის პროექტში შეტანა და ჩვენს კონსტიტუციაში. შემდეგ ამხანაგებო, კონსტიტუციაში ჩვენ შევიტანეთ ის ცვლილებანი, რომელსაც გვიკარნახებს პრაქტიკა და საქართველოს განსაკუთრებული ადგილობრივი პირობები. ეს ცვლილებანი გახლავთ შემდეგი: პირველი ცვლილება ეხება აღმასრულებელ კომიტეტების შემადგენლობას. რუსეთის კონსტიტუციის ძალით შემადგენლობა აღმასრულებელი კომიტეტისა ადგილობრივ არ უნდა აღემატებოდეს 20 წევრს; ჩვენ ეს რიცხვი მეტად გადაჭარბებულად მიგვაჩნია და პროექტში შევიტანეთ მხოლოდ 13 კაცი. და რაც უფრო ნაკლები კაცი იქნება აღმასრულებელ კომიტეტში, მით, უფრო, ჩვენის აზრით, მეტი სარგებლობა გვექნება: ნაკლები სიტყვა დაიხარჯება და მეტი საქმე გაკეთდება. მაგრამ რათ ავიღეთ რიცხვი ცამეტი აღმასრულებელ კომიტეტში? თქვენ მოგეხსენებათ, რომ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებობს 11 ან 12 განყოფილება. ამას მიუმატოთ თავმჯდომარე, რომელიც უმეტეს შემთხვევაში არავითარ განყოფილებას არ განაგებს და მივიღებთ მაქსიმუმს, რომლის ზევით შემადგენლობა არ არის საჭირო. მე მგონია ამ ცვლილებას, რომელიც შევიტანეთ რუსეთის კონსტიტუციასთან შედარებით ჩვენს კონსტიტუციაში, ყრილობა მიიღებს შემდეგ, ამხანაგებო, სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენლობა ჩვენ განვსაზღვრეთ 85 კაცით. რუსეთის კონსტიტუციით კი გაცილებით უფრო მეტი წევრი არის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, დაახლოვებით 300 კაცი. რუსეთის ვეებერთელა ტერიტორიისათვის ეს, რასაკვირველია, აუცილებლივ საჭიროა, მაგრამ ჩვენი პატარა რესპუბლიკისთვის, მე მგონია, თუ მეტი არა, საკმარისი იქნება 85 წევრი. შემდეგ მე მივაქცევ, ამხანაგებო, თქვენს ყურადღებას ერთ გარემოებაზე. ეს არის საკითხი თუ როგორ არის ჩვენში ადმინისტრატიულად მოწყობილი ხელისუფლების ორგანოები. რუსეთში არის ოთხ სართულიანი ადმინისტრატიული შენობა, ოთხ სართულიანი ხელისუფლების ორგანოები. სოფლის საზოგადოება, ეგრედ წოდებული „ვოლოსტი", (რუსეთში ვოლოსტს უძახიან თემის მზგავს ერთეულს) შემდეგ მაზრა, გუბერნია და ცენტრი. ჩვენ გვაქვს სამ სართულიანი ადმინისტრატიული შენობა: თემი, მაზრა და ცენტრი, მე მგონია, ყველასთვის გასაგები უნდა იყოს, რომ სამ სართულიანი ხელისუფლების ორგანოები, სამ სართულიანი ადმინისტრატიული შენობა, ოთხ სართულიანთან შედარებით, გაცილებით უკეთესია. აქ უფრო სავსეთ და ნამდვილად ხორციელდება პრინციპი დემოკრატიული მართვა-გამგეობისა, ცენტრი უშუალოდ უკავშირდება ადგილობრივ ორგანოებს. მე მგონია ეს ცვლილება, რომელიც ჩვენს პირობებში პრაქტიკამ და ცხოვრებამ დააკანონა, დაკანონებული იქნება საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობის მიერაც. ჩვენში უკანასკნელ დრომდე არსებობდნენ კიდევ რაიონული ორგანოები, მაგრამ ჩვენ ეს გავაუქმეთ, რადგან იგი უარყო ცხოვრებამ და დარჩა მხოლოდ თემის და მაზრის ორგანო, მაზრა პირდაპირ უკავშირდება ცენტრს. მაშინ როდესაც რუსეთში არსებობს ოთხი ეტაპი, ჩვენ გვაქვს მხოლოდ 3 ეტაპი: თემი, მაზრა და ცენტრი.

შემდეგ, ამხანაგებო, გზა და გზა ჩვენს კონსტიტუციაში მრავალი ცვლილებები შევიტანეთ. თქვენს ყურადღებას მივაქცევ, ამხანაგებო, უმთავრეს ცვლილებებს. ეხლა, ამხანაგებო, საქართველოს ცენტრალურ რევკომთან 15 კომისარიატი-ა. ჩვენ ეს რიცხვი მეტად გაზვიადებულად მიგვაჩნია და ეს 15 კომისარიატი ჩვენ შევამოკლეთ, ჯერ-ჯერობით, 12-მდე ჩვენ გავაუქმეთ სამი კომისარიატი, და შევუერთეთ სხვა და სხვა კომისარიატებს. სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატი შევუერთეთ შრომის კომისარიატს, როგორც ეს იყო რუსეთში უწინ. ფოსტა ტელეგრაფის და სტატისტიკური სამმართველო შევუერთეთ შინაგან საქმეთა კომისარიატს. საგანგებო კომისია, ეგრედ წოდებული „ჩეკა" შევუერთეთ შინაგან საქმეთა კომისარიატს. ასეთი დებულება არის, ამხანაგებო, უკანასკნელად მიღებული რუსეთში და ეს დებულება ჩვენც საჭიროდ დავინახეთ შეგვეტანა კონსტიტუციაში. ადვილად შესაძლებელია, რომ მომავალში ჩვენ შევიტანოთ ჩვენს კონსტიტუციაში მრავალი ცვლილებები და დამატებები. ეს მომავალში, მაგრამ ჯერ-ჯერობით თქვენ ყურადღებას მივაქცევ უმთავრეს ცვლილებებს. მომავალის ცვლილებების შესახებ ცხოვრება გვაჩვენებს და ეხლა კი ჩვენ შევიმუშავეთ ის კონსტიტუცია, რომელსაც წაგიკითხავთ. თავის მოხსენების დასასრულს ამხ. კვირკველიამ გამოაქვეყნა კონსტიტუციის პროექტი.

---

ვოლგისა და ურალის გაწმენდა თეთრებისაგან მალე მოხდა და 22 იანვარს, ორენბურგის დაცემის შემდეგ, ჩვენი ნაწილები შეუერთდნენ წითელი თურქესტანის ჯარს.

მასიურმა მობილიზაციამ საჭიროდ შექმნა მომარაგების ყველა ცენტრალური ორგანოების და საგანგებო ორგანოების შექმნა. ცენტრალური მმართველობა მომარაგების, უმთავრესი საარტილერიო მმართველობა, უმთავრესი სამხედრო საინჟინერო მმართველობა, უმაღლესი სამხედრო ინსპექცია და სამხედრო კომისრების ბიურო ანვითარებენ მაქსიმალურ ენერგიას: პირველი—სამხედრო მუშაობის კონტროლისა და ორგანიზაციის მხრივ ადგილებზე, მეორე—მობილიზაციით გაწვეულ პოლიტიკურ მუშაკთა განაწილების და კომისრების მოღვაწეობის ხელმძღვანელობის მხრივ. უმაღლეს სასწავლებელთა მთავარი მმართველობა საჩქაროთ აარსებს მოკლე ვადიან კურსებს; ასი და ათასი მუშები, გამოწრთობილნი რევოლიუციის პირველ ბრძოლებში, შედიან ამ კურსებზე თავის სამხედრო ცოდნის გასაფართოებლათ; უკვე 15 აგვისტოს ჩეხო-სლოვაკების ფრონტზე ჩნდებიან წითელი კომანდირები, შემდეგ კი ყველა ფრონტებზე; რესპუბლიკის ყველაზე უფრო მძიმე წამებში ისინი იყვნენ პირველ ყავარჯანებათ და მაგარ დამრტყმელ ძალათ ჩვენი არმიისა. აღმოსავლეთის და სამხრეთის ფრონტების შემდეგ 2 სექტემბერს ეწყობა რესპუბლიკის რევოლიუციონურ-სამხედრო საბჭო ამხ. ტროცკის თავმჯდომარეობით; ეს ორგანო ხელთ იკრებს გამოუკლებლივ ყველა კითხვებს ქვეყნის თავდაცვისას, ჰქმნის ჩრდილოეთისა და დასავლეთის ფრონტებს, აუქმებს მრავალ ოპერატიულ ცენტრებს, აერთიანებს მათ ფუნქციებს რესპუბლიკის საველე შტაბში, აწყობს ახალ ძალებს ქვეყნის რესურსების მიხედვით, ტეხნიკის როლისა და ტრანსპორტის მნიშვნელობის აღრიცხვას—ერთი სიტყვით მთელი საომარი და სამშვიდობო მუშაობა გენერალური შტაბის მძიმე ტვირთათ აწევს რესპუბლიკის შტაბს. ოქტომბრის ბოლო რიცხვებში, ქვეყნის—ყველა სამეურნეო ორგანოების მუშაობის გასაძლიერებლათ, საომარი ძლიერებისათვის ეწყობა ამხ. ლენინის თავმჯდომარეობით შრომის და თავდაცვის საბჭო, ფრონტებზე და არმიებში ეწყობა სათანადო რევოლიუციონური სამხედრო საბჭოები, რომლებიც ფრიად ხელს უწყობენ კომანდირების ავტორიტეტის ამაღლებას და ადგილობრივ საშუალებათა გამოსაყენებლათ არმიის საჭიროებათათვის. მუშაობა არმიის შინაური ორგანიზაციებისათვის მიმდინარეობს წითელი იარაღის გამარჯვებასთან ერთათ. ნოემბრის დასაწყისში, ვილჰელმის ჩამოგდების შემდეგ, იწყება გერმანელი ჯარის უკან დახევა ჩვენი ტერიტორიიდან. წითელი არმია დაუყონებლივ იკავებს ესტონიას, ლატვიას, ბელორუსიას და შემდეგ უკრაინასაც. ამნაირათ ამ პერიოდის ბოლოს ჩვენ გვყავს ჯარი 600 ათას მეომართაგან შემდგარი. ზურგში სწარმოებდა დამატებითი კადრების შედგენა, ფრონტებზე კი შემდეგი მდგომარეობა შეიქმნა: აღმოსავლეთში, კოლჩაკმა, გადენა რა დამფუძნებელი კრების წევრები, თავის თავი გამოაცხადა რუსეთის უზენაეს მმართველათ (1918 წლის 2 ნოემბერი). ის არ კმაყოფილდება ოფიცრებისა და კაზაკების ნაწილებით და ჰკრებს ციმბირის გლეხკაცობას, იღებს ფულს და იარაღს მოკავშირეებისაგან და ამზადებს გაზაფხულისთვის შეტევას მოსკოვზე. სამხრეთით კრასნოვი 1918 წლის ზაფხულისა და შემოდგომის განმავლობაში არა ერთხელ აღწევს ცარიცინამდე და ბოლოს დაახევია რა ჩვენ ჯარს, მიდის ვორონეჟზე. ჩრდილოეთით, ჩაიკოვსკი ინგლისის დესანტის დახმარებით არხანგელსკის დაკავების და რკინის გზით დვინისკენ წაწევის შემდეგ სამხრეთში, სცდილობს დაეხმაროს ჩეხო-სლოვაკებს და იკავებს ონეგის და ლადოგის ტბის ჩრდილო ნაპირებს. დასავლეთით მოკავშირეების ავანგარდები, ლატიშების, ესტონელების, პოლონელების სახით ხელში იგდებენ რიგას, ნარვას, პინსკს, ვილნოს და ბარანოვიჩს. ბლოკადის რკალი გვერტყმება ყოველ მხრით. დგება რესპუბლიკისათვის ყველაზე უფრო ძნელი დღეები. პირველათ კოლჩაკი ცდილობს ძალა-უფლების დაპყრობას.

**მეხუთე ხანა. კოლჩაკი და დენიკინი.**

1919 წლის მარტიდან, 300 ათასი შტიკით, 60 ათასი ხმლით, 700 ზარბაზნით და 2500 ტყვიისმფრქვეველით, კოლჩაკი, სწრაფათ მიიწურება ვოლგისკენ. საბჭოთა რუსეთის გლეხკაცობამ ნათლად შეიგნო მთელი მნიშვნელობა ამ შემოტევის. კოლჩაკის უკან იდგა პომეშჩიკი, ხოლო ამ უკანასკნელის უკან მეფის პრისტავი. კომუნისტურმა პარტიამ დაძრა ვოლგისკენ მაქსიმუმი თავის საუკეთესო მუშაკების. „ყველა აღმოსავლეთისაკენ", ასეთია თავდაცვის ლოზუნგი. აღმოსავლეთის ფრონტის კომანდირის ს. ს. კამენევის ხელშია მაქსიმალური ძალა. 25 აპრილიდან (ბრძოლა ბუგურუსლანთან) იწყება ევროპის ყველა სახელმწიფოების მიერ ცნობილი „უზენაესი მმართველის" დამარცხებული და დაფანტული დივიზიების უკან დახევა. წითელმა პარტიზანებმა არსებითი დახმარება გაგვიწიეს, მათ აიღეს ირკუტსკი, დაიჭირეს და დახვრიტეს კოლჩაკი.

კოლჩაკის წინააღმდეგ ჩვენი ძალების უკიდურესი ბრძოლის მომენტში, დენიკინი (კრასნოვის მაგიერ), რომელსაც უპირატესობა ჰქონდა ჩვენს წინაშე ტეხნიკურ საშუალებათა მხრივ (განსაკუთრებით არტილერიით და ტანკებით, რომლებითაც დაასაჩუქრეს ის ჩვენმა ყოფილმა „მოკავშირეებმა), რომელსაც ჰყავდა კარგათ გაწვრთნილი ცხენოსანთა ჯარი მნიშვნელოვანი ძალის და სარგებლობდა მისთვის ხელსაყრელი გარემოებით (სამხრეთ-აღმოსავლეთ რუსეთის კულაკური გლეხკაცობა) წინ იწევს და სცდილობს შეუერთდეს კოლჩაკს ვოლგაზე და აიღოს მოსკოვი. წითელი ცარიცინი მარცხენა ფლანგზე იყო მაგარი დასაყრდნობი არმიებისათვის, რომლებიც იბრძოდნენ კოლჩაკისა და დენიკინის წინააღმდეგ; უკანასკნელი რაც უფრო იწევდა ხვდებოდა სულ უფრო და უფრო სასტიკ წინააღმდეგობას. მობილიზაცია უკრაინაში, პომეშჩიკების ყოფა-ქცევა ზურგში ჰქმნიან იქ ახალ წითელ ფრონტს რომელიც ინდომებს დენიკინის ძალების მნიშვნელოვან ნაწილს; რადგან მას იმედი არა აქვს წინ წაწევის, სწყვეტს ცხენოსანთა რეიდით ხელთ იგდოს საბჭოთა რუსეთის გული; მამონტოვი იჭერს დროებით კაზლოვს და ტამბოვს. „პროლეტარებო, ცხენებით" ასეთია ლოზუნგი ამხ. ტროცკის. ამ ლოზუნგს შეხვდნენ აღტაცებით და უკვე 19 ოქტომბერს ბუდიონის არმიამ დაამსხვრია მამონტოვი ვორონეჟთან; 20-ს ჩვენმა ჯარმა აიღო ორიოლი; მტრის არმია გაიპო შუაზე ბიუდიონის დარტყმით და მან უკან დაიხია დიდი ზარალით: აღმოსავლეთის ნაწილმა როსტოვზე და ნოვოროსიისკზე, დასავლეთისამ ყირიმისკენ. კერზონისა და მოკავშირეთა ესკადრის საქმეში ჩარევამ უშველა გენერალ ვრანგელს და ჩვენ მწარეთ ვინანეთ, რომ ხელიდან გავუშვით შემთხვევა მისი ლიკვიდაციის.

იუდენიჩის დამარცხება პეტროგრადთან, ჩრდილოეთის ფრონტის ლიკვიდაცია და პოლონეთის ფრონტზე სიჩუმემ მოგვცა ჩვენ 1920 წლის გაზაფხულისთვის მოკლე შესვენება.

ეს პერიოდი აღნიშნულია ორგანიზაციული თვალსაზრისით დიდი შემოქმედებითი მუშაობით დამკვრელი ჯგუფების, ცხენოსანთა მასების შესაქმნელათ ახალი ძალების მომზადებისათვის, ტეხნიკურ საშუალებათა გასაძლიერებლათ. ოპერატიული თვალსაზრისით ამხ. კამენევის იდეა ფრონტების თანდათანი ლიკვიდაციის შესახებ ამ ხანაში სრულიად ხორციელდება.

**მეექვსე ხანა. პოლონეთის ომი. ვრანგელი. შინაური ფრონტები.**

წითელი არმიის მუშაობამ შრომის ფრონტებზე ვერ გამოიღო თავისი ნაყოფი. პოლონელები პეტლიურათი მოკავშირეების სრული დახმარებით, დარწმუნებულნი ჩვენ დასუსტებაში შესვენების დროს, იწყებენ შემოტევას უკრაინაზე; ჩვენი არმია, ოთხჯერ უფრო სუსტი პოლონეთისაზე, სასტიკი ბრძოლების შემდეგ აპრილის ბოლო რიცხვებში იხევს უკან და სტოვებს კიევს, ჟიტომირს, ბედინსკს.

„პოლონეთის პანებთან საბრძოლველათ!" გაისმა მთავრობის ძახილი საბჭოთა რესპუბლიკაში; მთელი ქვეყანა გამოეხმაურა მას; იქითკენ დაიძრა კომუნისტების მასა, მათ მიჰყვება ათი ათასები მოხალისეთა; ყველა ფრონტებიდან მიიწურებიან იქით ძველი გამოცდილი პოლკები და დივიზიები. პოლონეთის ფრონტის ჩრდილოეთის ნაწილიდან დაეცნენ პირველათ მათ; უკრაინაზე შეტევასთან ერთათ მისი შედეგი იყო კიევის დაკავება და შემდეგ გამაგრებული პოზიციების გარღვევის შემდეგ 110 ვერსის მანძილზე ჩვენი ჯარები მსწრაფლ მიიწევენ წინ, იკავებენ მინსკს, ვილნოს, მოლოდჩინოს, ბობრუისკს, ამხ. გაის კორპუსი 19 ივლისს ამარცხებს გროდნოსთან პოლონელების დიდ ძალებს და იწევენ რა ვარშავის შემოსავლელათ, იკავებენ დანციგის „კორიდორს". მარა რაც უფრო წინ მივიწევთ, მით უფრო და უფრო დიდ სიძნელეს ვხვდებით; ჩვენი ზურგი ვერ მისდევს ფეხდაფეხ ფრონტს, ის რჩება. მეორე მხრით პოლონელის პანები ეწევიან ენერგიულ აგიტაციას გლეხებში ჩვენი შეტევის წინააღმდეგ და თითქოს ნაციონალურ გრძნობას იწვევენ. ისინი ადგენენ ახალ ქვეითა და ცხენოსან ნაწილებს და 14 აგვისტოს ვარშავასთან მოკლე და მაგარი დარტყმის შემდეგ გადმოდიან შეტევაზე, არღვევენ ფრონტს ჩრდილოეთით, ახევინებენ გაის კორპუსს და მეოთხე არმიას გერმანიის ტერიტორიისაკენ და ჩვენი ჯარიც იხევს დაახლოებით დღევანდელ სახელმწიფო საზღვრებამდე.

პოლონეთის კამპანიის ბოლომ საშუალება მოგვცა ჩვენ, გადაგვეყვანა დიდი ძალები ვრანგელის წინააღმდეგ, რომელიც გაზაფხულზე გამოძვრა ყირიმის ყელიდან და იმუქრებოდა დონეცის აუზის ხელში ჩაგდებით. შეექნა მძიმე მდგომარეობა რესპუბლიკისათვის სათბობი მასალის მოსპობით. რამოდენიმე გადამწყვეტი დარტყმის შემდეგ ნიკოპოლთან კახოვკასთან ვრანგელის ნაწილები დამარცხდნენ და ძლიერი წითელი არმია ნაკუწებათ აქცევს მიუვალ სიმაგრეებს პერეკოპთან და სივაშთან. ყირიმი ისევ საბჭოების ხელში გადმოდის.

არა ნაკლები სიძლიერე გამოიჩინა წითელმა არმიამ შინაური ბანდიტიზმის ლიკვიდაციის დროს. კრონშტადტი, მახნოვშჩინა, ტამბოვშინა, სავინკოვის და პეტლიურას ბანდები დასავლეთ საზღვარზე, ფინლიანდელების ავანტიურა კარელიაში—ყოველივე ეს ძირიან-ფესვიანათ ამოგდებულია და ხელს აღარ უშლის ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას.

ოთხი წლის ბრძოლის შედეგათ, მიუხედავათ ორგანიზაციული ნაკლისა და ტეხნიკის სისუსტისა, არმიამ მოიგერია ყველა შემოტევა მსოფლიო იმპერიალიზმის; მან მიაღწია თუ ფორმალურს არა (ესეც მალე იქნება) ყოველ შემთხვევაში საბჭოთა რესპუბლიკის ფაქტიურ ცნობას მაინც. ის არის მუდმივი დროშა მსოფლიო პროლეტარიატის, რომელიც ამდგარია დამმონებლებთან საბრძოლველათ.

ჩვენ ვტოვებთ გვერდზე სპეციალურათ სტრატეგიულ და ტაქტიკურ პრობლემებს (ამის ანალიზს მონოგრაფიულ გამოკვლევებში ახდენენ ბევრი მსმენელები სამხედრო აკადემიის) შევეცდებით მხოლოდ გავუკეთოთ ჯამი ჩვენ მოკლე მიმოხილვას.

თეთრგვარდიელთა გენერლები, მიუხედავათ ანტანტის მიერ ძლიერი დახმარებისა, სუსტდებოდნენ, რაც უფრო ახდენდნენ მასიურ მობილიზაციას; რადგან ეს არმიები ეყრდნობოდნენ მხოლოდ ოფიცრობას, ამიტომ მათ დაღუპვასთან ერთათ ეს არმიებიც იშლებოდნენ.

წითელი ფრონტები ჩვენი მოწინააღმდეგების ზურგში იყვნენ ერთ გადამწყვეტ მომენტთაგანი ჩვენი გამარჯვების. მეორე მომენტი, რომელმაც გადასწყვიტა ბრძოლის შედეგი, იყო ალტყინება, რომელიც შექმნა კომუნისტურმა პარტიამ წითელ არმიელთა რიგებში; ეს გარემოება არის მიზეზი ჩვენი ოპერაციების შეუწყვეტლობის და განვითარების სიჩქარის. ამითვე აიხსნება სიმტკიცე ჩვენი მეომრის.

ახლა არმია გადავიდა მშვიდობიან მდგომარეობაზე, ის სამჯერ შემცირდა. „ფრონტები არ არის—საშიშროება არის", ამბობდა ამხ. ტროცკი საბჭოთა მეცხრე ყრილობაზე. მიმდინარე ამბები ადასტურებენ ამ სიტყვებს: ავანტიურა კარელიაში, შეტევა შორეულ აღმოსავლეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ, კომედია „განიარაღების" შესახებ ვაშინგტონში, კაბინეტების ოთურმა დასავლეთ ევროპაში—ყოველივე ამას დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს წითელი არმია. „საფრთხე არის", ამიტომ საჭიროა მაგარი შეიარაღებული ძალა, რომელიც მზათაა ყოველ წამს თავის დასაცავათ.

მაშინ, როდესაც საბჭოთა დიპლომატია ყოველ ღონეს ხმარობს როგორმე უზრუნველჰყოს მშვიდობიანი მდგომარეობა—არმია არა ნაკლებ ღონეს იხმარს თავის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ტეხნიკურ საშუალებათა გაძლიერება, კომუნისტური გავლენის ზრდა, მომზადება და სწავლება დაწყებული უბრალო მეომრიდან დივიზიის წითელ უფროსამდე, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება—ამოცანები, რომლებიც დააყენა სრულიად რუსეთის საბჭოთა მეცხრე ყრილობამ უნდა გადაჭრილ იქნან მაქსიმალური შესაძლებლობით კიდევ გაზაფხულამდი. შეუდრეკელი, გარკვეული და ხშირათ წვრილმანი მუშაობა! ჩვენ გვაქვს არა მარტო დიადი წარსული, არამედ გვექნება კიდევ უფრო დიადი მომავალი!

ხ. მენცელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**დადგენილება № 152.**
**საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბ. რევოლუციონური კომიტეტისა. საქალაქო და საქალაქთაშორისო ტელეფონის ნიხრის გადიდების შესახებ.**

1. საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 5-ს თარიღითა და 110 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად,— დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ნიხრი საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკველია.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.
თბილისი-სასახლე.

## ნიხრი

### საერთაშორისო და საქალაქთაშორისო ტელეფონის სარგებლობისათვის.

| №№ რიგ. | გადასახადის საგანი | გადასახადი რაოდენობა მანეთობით. | შენიშვნა: |
|---|---|---|---|
| 1 | საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის რესპუბლიკის ფარგლებში პირველ 3 წუთს. | 50,000 | |
| 2 | 3 წუთს ზედმეტი ლაპარაკისათვის ყოველ ზედმეტ წუთს ან მის ნაწილზე დამატებით. | 20,000 | |
| 3 | დავალება აბონენტის გამოსაძახებლად. | 20,000 | |
| 4 | საპასუხო შეკვეთა. | 40,000 | |
| 5 | ქ. ბათუმთან საერთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის პირველ 3 წუთში. | 150,000 | |
| 6 | 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის ყოველ ზედმეტ წუთზე ან იმის ნაწილზე დამატებით. | 70,000 | |
| 7 | ქ. განჯასთან საქალაქთაშორისო ტელეფონით ლაპარაკისთვის თვითეულ პირველ 3. წუთზე. | 100,000 | |
| 8 | 3 წუთზე ზედმეტი ლაპარაკისთვის თითო წუთზე ან მის ნაწილზე. | 40,000 | |
| 9 | დავალება აბონენტების გამოსაძახებლად ორივე ქალაქისათვის. | 50,000 | |
| 10 | საპასუხო დავალება. | 40,000 | |
| 11 | სასწრაფო ლაპარაკისათვის და სასწრაფო შეკვეთისთვის გადასახადი, როგორც საქალაქთაშორისო, ისე საერთაშორისო ტელეფონისა გამოერთმევა ერთი სამად ჩვეულებრივთან შედარებით. ავანსი განისაზღვრება 2,000,000 მანეთით. | | |
| 12 | შეკვეთისათვის შემოტანილი ფული არავითარ შემთხვევაში არ დაებრუნება. | | |

**შენიშვნა:** თუ მთხოვნელები ბევრი იქნება, ლაპარაკის დრო განისაზღვროს 10 წუთით.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.
თბილისი—სასახლე.

---

**დადგენილება № 153.**
**საქართველოს სოც. საბჭოს რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტისა.**
**ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ.**

1. საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ 1921 წლის დეკემბრის 5-ს თარიღითა და 108 №-ით გამოცემულ დადგენილებასთან დართული ნიხრის შესაცვლელად, დამტკიცებულ იქნეს ამასთანავე დართული ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციის ნიხრი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 წ. თებერვლის 23.
თბილისი-სასახლე.

## ნიხრი

### ფოსტა-ტელეგრაფის შინაგან კორესპონდენციისა.

| გასაგზავნი კორესპ. სახეობა. | გადასახადის რაოდენობა მანეთობით. |
|---|---|
| **1. ბანდეროლები.** | |
| **ადგილობრივი:** | |
| ა) ბეჭდითი ნაწარმოები გარდა კატალოგებისა და პრეისკურანტებისა | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. 1.000 მან. |
| ბ) საქმის ქაღალდები | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. 1.500 მან. |
| **სხვაგან გასაგზავნი.** | |
| **ისეთივე ბანდეროლები:** | |
| ა) ბეჭდითი ნაწარმოები. | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. 2.000 მან. |
| ბ) საქმის ქაღალდები. | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. 3.000 მან. |
| გ) საქონლის ნიმუშები. | ყოველ 30 გრამზე ან მის ნაწ. 5.000 მან. |

**შენიშვნა:** კატალოგები და პრეისკურანტები იგზავნება, როგორც საქონლის ნიმუშები.

| | |
|---|---|
| **2. დახურული უბრალო წერილები:** | |
| ა) ადგილობრივი. | ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწ. 5.000 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწ. 10.000 მან. |
| **3. მიხალოცი ხადარბაზო ბარათები:** | |
| ა) ადგილობრივი და | |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | წონის ფასი იგივე, როგორც დახურული უბრალო წერილისა. |
| 4. უბრალო ღია წერილები: | |
| ა) ადგილობრივი. | 2 500 მ., პასუხით ორჯერ მეტი—5.000 მ. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | 5.000 მ., პასუხით ორჯერ მეტი—10 000 მ. |
| 5. ნაწილობრივ ან სრულიად ფას გადაუხდელი წერილები. | წონის ფასი ერთი-ორად მეტი. |
| 6. შეკვეთილი წერილები. | წონის ფასი იგივე, რაც უბრალო წერილისათვის, შ საკვეთი კი 10.000 მან. |
| 7. ფასიანი წერილები: | |
| ა) ადგილობრივი. | წონის ფასი იგივე, როგორც ადგილობრივ უბრალო წერილისა, დასაზღვევი ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | წონის ფასი იგივე, როგორც სხვაგან გასაგზავნი უბრალო წერილისა, დასაზღვევი კი ყოველ 1.000 მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან. |
| 8. ფულიანი წერილები: | |
| ა) ადგილობრივი. | წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე—5.000 მან., დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე—100 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | წონის ფასი ყოველ 15 გრამზე ან მის ნაწილზე—10.000 მან., დასაზღვევი—ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 200 მან. |

**შენიშვნა:** თითო ფულიან წერილში დაშვებულია გადაიგზავნოს არა უმეტეს 1.000.000 მანეთისა.

| | |
|---|---|
| 9. ფულის ბარათები. | ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 100 მან. |

**შენიშვნა:** ერთი ბლანკით შეიძლება გაიგზავნოს 1.000.000 მან., ხოლო სახაზინო დაწესებულებებისათვის გასაგზავნი თანხა განუსაზღვრელია.

| | |
|---|---|
| 10. გაგზავნილის მიღების შეტყობინება: | |
| ა) ადგილობრივი კორესპონდენციის. | 5.000 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | 10.000 მან. |
| 11. გაგზავნილ კორესპონდენციის მოძებნა, შეჩერება დაბრუნება, მისამართის გამოცვლის განცხადება: | |
| ა) ადგილობრივი კორესპონდენციის. | თვითეულ განაგზავნზე—5.000 მან. |
| ბ) სხვაგან გასაგზავნი. | თვითეულ განაგზავნზე—10.000 მან. |
| 12. სააბონენტო უჯრებით სარგებლობა. | ქ. ტფილისში და ბათუმში 1 უჯრა 50.000 მან., ქუთაისში და ფოთში—30.000 მ., დანარჩენ ადგილებში—20.000 მან. წელიწადში. |

**შენიშვნა:** ვისაც მთელი წლის გადასახადი უკვე შემოტანილი აქვს ამა დადგენილების გამოქვეყნებიდან უნდა შემოიტანოს განცხადება.

| | |
|---|---|
| 13. ყოველგვარ კორესპ. მისაღები ბილეთები. | ყველგან წლიურად 50.000 მან. |
| 14. შეღავათიან კორესპონდენციაში კერძო ხასიათის მიმოწერის აღმოჩენა. | თვითეულ გადასაგზავნზე დამნაშავეთ გადახდეთ წონის ფასი სამჯერ მეტი ჩვეულებრივი წერილისა და მიეცენ პასუხისგებაში, როგორც ბოროტმოქმედების ჩადენისათვის სამსახურში. |
| 15. ჟურნალ გაზეთების გასაგზავნი. | რედაქციებს გადახდეს 20 პროცენ. გაზეთ-ჟურნალის თვიური ღირებულებისა (თითო ნომერზე (კალკე). |

**შენიშვნა:** მთავრობის მიერ გამოცემული ოფიციალური ჟურნალი „მოამბე" მიიღება გასაგზავნად უფასოდ.

| | |
|---|---|
| **16. ამანათები.** | |
| ა) უფასო. | საქართველოს ტერიტორიის ყველა მანძილზე 2 გირ.-დე 10.000; 2-დან 7-დე—20.000 მ.; 7-დან 12 გირ.-დე—30.000 მ. 12 გ. ზევით თითო გირ.-ზედ 2000 მ. |
| ბ ფასიანი. | წონის ფასი, რაც უფასო ამანათისათვის და დასაზღვევი, როგორც ფასიანი წერილისათვის ე. ი. ყოველ 1000 მან. ან მის ნაწილზე 100 მან. |
| 17. პლომბის ან ლუქის ბეჭდის დასმა. | ამანათზე ლუქის ბეჭდის დასმისათვის ან პლომბის დადებისათვის 5000 მ., წერილების დალუქვისათვის 5000 მან. |
| 18. ამანათების შენახვა. | ერთი დღე და ღამე 5000 მან. |

**შენიშვნა:** ამანათის შესანახად დაწესებული ფასი გადახდებათ მიმღებთ სამი დღისა და ღამის შემდეგ უწყების ჩაბარებისა, თუ ის ქალაქის ან სოფლის ფარგლებში სცხოვრობს. ანგარიშში არ მიიღება უწყების ჩაბარების დღის მომდევნო დიდი უქმე დღე, როდესაც საფოსტო ოპერაციების წარმოება შეჩერებულია. იმ შემთხვევაში, თუ ამანათის მიმღები ქალაქ გარედ სცხოვრობს, სადაც უწყებას თვით ფოსტა არ აბარებს, შესანახი ქირა გადახდებათ მიმღებთ ორი კვირის შემდეგ, დღიდან ამანათის დაწესებულებაში მოსვლისა.

**შენიშვნა 2.** ერთი ფასიანი ამანათის ფასი განისაზღვროს 500.000 მ.

| | |
|---|---|
| **19. ფასდადებული კორესპონდენცია.** | ყოველ ათას მანეთზე ან მის ნაწილზე 100 მან. |

**შენიშვნა:** ფასდადებული კორესპონდენციის თანხა განსაზღვრულია 1.000.000 მანეთი.

| | |
|---|---|
| **20. ტელეგრამები:** | |
| ა) ადგილობრივი | სიტყვა 2000 მანეთი. |
| ბ) სხვაგან გადასაცემი | საქართველოს ტერიტორიაზე ... ტყვა 5000 მან., სომხეთთან, აზ... ბეიჯანთან და მთიელთა რესპუბ... კასთან—10.000 მან.; რუსეთთან 20.000 მან. |
| გ) სასწრაფო დეპეში | ფასი ერთი-სამად მეტი, ვიდ... უბრალო დეპეშისათვის. |
| დ) უბრალო დეპეშის გადაცემა შემოწმებით | ფასი ერთი ორად მეტი, ვიდრე უბ... ლო დეპეშისათვის. |
| ე) სასწრაფო დეპეშის გადაცემა შემოწმებით. | ფასი ერთი-ოთხად მეტი, ვიდრე ... რალო დეპეშისათვის. |
| ვ) რამოდენიმე მისამართიანი დეპეშა | ყოველ 50 სიტყვაზე ან მის ნაწი... 10.000 მ., მისამართების რაო... ნობის მიხედვით (პირველი მი... მართი ანგარიშში არ ჩაითვლ... |
| ზ) დეპეშების მიღების შეტყობინება ტელეგრაფით | ათ სიტყვიანი უბრალო ან სასწრა... დეპეშის ფასი. |
| თ) დეპეშის ტელეფონით გადაცემა. | სიტყვა 5000 მან. |
| ი) საგენტო დეპეშები | სიტყვა ჩვეულებრივისა—5000 მ... ცირკულიარულისა—10000 მ. |
| კ) ფულის ბარათი დეპეშით | გარდა საფოსტო ხარჯებისა 1.000.0... მან. ოც სიტყვიანი დეპეშის ფ... —ზევით 25 სიტყვიანი დეპე... ფასი. |
| ლ) დეპეშებს, რომელსაც გზავნის ადგილობრივი ბანკი, მისი განყოფილება, ხაზინა და ყოველივე საკრედიტო დაწესებულებანი მესამე პირთათვის, ფულის ან რაიმე ფასეულობის გაცემისათვის | სიტყვების მიხედვით სასწრაფო დ... პეშის ფასი. |
| მ) შიკრიკით დეპეშის გზავნა ტელეგრაფის სადგურის გარეშე. | თვითეულ ვერსზე 20.000 მან. |
| ნ) პირობითი ან შემოკლებული მისამართით სარგებლობა. | კერძო პირთათვის 200.000 მან., სა... ჭოთა დაწესებულება თავისუფალ... ამ გადასახადისაგან. |
| ო) შეჩერება ან დაბრუნება გადაუცემელ დეპეშისა გამგზავნელის განცხადების თანახმად | თუ დეპეში სრულებით არ გადაც... მულა, გამგზავნელს დაუბრუნდ... მისი საფასური ერთი მეოთხედ... გამოკლებით. სასწრაფო დეპეშის... თვისაც დაექვიროს ისე, როგორ... უბრალო დეპეშისათვის. თუ დე... ში აპარატით გადაცემულია, მი... შეჩერებისათვის გამგზავნელს გ... დახდეს სასამსახურო დეპეშის ფა... და პირვანდელი დეპეშის ფასი ... დაუბრუნდეს. |
| **21. კერძოთ დამზადებული ბლანკები:** | |
| საფულის ბარათი | 1000 მანეთი. |
| მიმდევნო მისამართი | 1000 მანეთი. |
| იგივე ფას-დადებით | 2000 მანეთი. |
| ღია წერილები | 500 მანეთი. |
| იგივე პასუხით | 1000 მანეთი. |
| მიღების შესატყობინებელი ბლანკი. | 500 მანეთი. |

**შენიშვნა:** საბჭოთა დაწესებულებებს სასამსახურო ხასიათის დეპეშებში გადახდებათ ერთი მეოთხედი ჩვეულებრივი ღირებულებისა.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **ბ. კვირკელია.**

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **ა. ყამარაული.**

რევოლუციონური კომიტეტის მდივანი **ა. ხალარიძე.**

1922 წელი, თებერვლის 23.
ტფილისი—სასახლე.

**ᲡᲐᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲝ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ.**

---



## საყურადღებოთ

ყველა პარტიულ ორგანიზაციებისა, საბჭოთა, საზოგადო დაწესებულებათა და კერძო პირთა ცხადდება, რომ პოლიგრაფიული განყოფილ... სწყვეტს შესრულებულ შეკვეთების გაცემას ხარჯების სრულ გასწორება... დის.

ყველა მიღებული შეკვეთები, აგრეთვე ახლად მისაღები, არ იქნები... შესრულებული შეკვეთების ნახევარ ღირებულების შემოტანამდის.

ყველა ზემო აღნიშნულ ორგანიზაციათა და დაწესებულებებს წინად... დება ეძლევათ, 15 დღის განმავლობაში, დღიდან ამ განცხადებისა, შემო... ტანონ პოლიგრაფიულ განყოფილებაში მათგან კუთვნილი თანხები.

**პოლიგრაფიულ განყოფილების კოლეგია.**

(5—1)

## განცხადება

## ტფილისის ქალაქის აღმასრულებელ... კომიტეტის

მ ... დაწესებული კომისია საბიუჯეტო კომისიის, გადასახადების ბიურო... და მისი სარაიონო აგენტების მოქმედებათა გამოსაძიებლად აუწყებს ყვე... დაინტერესებულ კერძო პირს, მოვაჭრეებს, დაწესებულებებს, საწარმო... დაწესებულებებს, რომელთაც აქვთ რაიმე ცნობები, საჩივრები და პროტ... ზიები აღნიშნულ დაწესებულებათა უკანონო მოქმედებების და ბოროტ მო... მედებების შესახებ,—რათა მათ ამგვარები პირადად, წერილობითი სახ... შემოიტანონ ზემორე დასახელებულ კომისიაში, რომელიც მოთავსებულ... მე-16 №-რ ოთახში ქ. ტფილისის ქალაქის აღმასრულებელი კომიტე... შენობაში (ყოფილი ქალაქის საბჭო).

(4—2)



[illegible] სახელმწიფო სტამბა [illegible]